ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989-წელს.

№ 30 (1365) | 14-20 სექტემბერი. 1993 წ.

სოხუმჰესზე დატყვევებულთა ნაკვალევზე

ჩვენი გაზეთის 21—27 ივლისის ნომერში გამოქვეყნდა რედაქტორის ნ.გრიგალაშვილის რეპორტაჟი სოხუმიდან „ცირე სიუჟეტები დიდი ტრაგედიის ფონზე“. წერილის ერთ-ერთ ქვეთავში „ჯარისკაცის მამა“ ლაპარაკი იყო სოხუმჰესის დამცველი მებრძოლის კილაძის ბედზე. მეტი სიცხადისათვის მოვიყვანთ ამონარიდს ამ ქვეთავიდან: „ერთი შუახნის კაცი, როგორც მერე მითხრა გვარად კილაძე, მეომრებს ეკითხება: სოხუმში რომ ჩავალთ, ჰესზე როგორ მოვ ვდეო. ჰესის ხსენებაზე ყურ ში ვიცქვიტე. ჰესზე რა კითხდათ, იქ რა დაგრჩენიათ — მეთქ ჩემი ბიჭი იცავს იმ ჰესსო, ოჯახში აღარ დამიდგა გული. აღარც ქალებმა გამაჩერეს, ჩადი, ბიჭს ჩახედეო. დედამისი სახლში ადგილს ვეღარ პოულობს, მეც ავდექი და წამოვედი. ბიჭის მეთაურს შევეხვეწები, მეც იქ დამტოვოს, კარტოგრაფია ვიცი კარგად, მეომრებს გამოვადგები, მუხლიც მიჭრის და ბრძოლაც შემიძლია. ჩემი შვილის გვერდით უფრო მშვიდად ვიგრძნობ თავს.

ტანში გამცრა.

— თქვენი შვილის მეთაური მამულაშვილი ხომ არ არის მეთქი,— ვკითხე.

— კი, კი! მამულაშვილი, ზურა, ასე მოიწერა ბიჭმა, იცნობთ?

გაბრწყინებული სახით შემომხედა კაცმა, დაბნეულმა მოულოდნელობით, რომ სამოქალაქო პირს იქაური რაღაცეები მცოდნია. ფორმიან ბიჭებს თავი დაანება და შინაურულად ჩამეძია.

—ჰო როგორი კაცია, მართლა იცნობთ?

— ჩემი მეგობარია, დიდებული პიროვნებაა — ვპასუხობ ჯარისკაცის მამას და თვალს ვარიდებ. გორგალი ყელში მაქვს გაჩხერილი, ცოტაც და ხმა გამიტყდება... ვერაფერს ამჩნევს, გახარებული ლაპარაკობს. ძალიან აქებენ, სხვებმაც ეგრე მითხრესო. დრო ვიხელთე და კილაძეს გავეცალე.

მალხაზი და ზურა გაფითრებულნი არიან...

საქმე ის იყო, რომ რამდენიმე წუთის წინ მათ მოვუყევი ზურაბ მამულაშვილისა და მისი რაზმის უბედური ბედის შესახებ. ზურა თავის თხუთმეტი წლის ბიჭთან და რაზმელებთან ერთად ჰესს იცავდა, აფხაზებს რამდენიმე დღე ალყაში ჰყავდათ და ტყვედ აუყვანიათ. იმ თვითმფრინავში სამი კაცი ვისხედით, რომელთაც კილაძის შვილის ამბავი ვიცოდით, როგორი სათქმელი იყო შვილის კვალს დადევნებული მამისათვის, შენი ბიჭი ან ტყვეა, ან დახვრეტილიაო“.

აი სწორედ ამ ამბების უშუალო მონაწილე დაბრუნდა სულ ახლახანს გუდაუთის ტყვეობიდან. ძველი სახალხო ფრონტელი რობიზონ ბერუაშვილი და მისი ნაამბობიდან გამოჩნდა ბევრი რამ, რაც დღემდე ბურუსით იყო მოფენილი, თუმცა ჯერ კიდევ ყველაფრის თქმა არ შეიძლება, რადგან იქ გუდაუთის სარდაფებში ისევ არიან ჩვენი ბიჭები, მათ შორის ზურა მამულაშვილი. ბატონი რობიზონი სამაჩაბლოელი კაცია, სოფლითხორცამდე პატრიოტი, უკვე ჭაღარამოძალებული იარაღით დადგა იქ, სადაც სამშობლოს უჭირდა და ტყვეობის სიმწარეც გამოსცადა. საბედნიეროდ ყველაფერი კარგად დასრულდა. გთავაზობთ მის ნაამბობს: 6 ივლისს 23 კაცი უშუალოდ სოხუმჰესზე ვიყავით დანარჩენი კი მისგან კილომეტრნახევარი დაშორებით საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდნენ. ძირითადი შტაბი იქ იყო. იმ საბედისწერო დილას მოვიდნენ ირემაშვილი გია, ქსოვრელი სერგო, პატარიძე დათო და თადიაშვილი სოსო. ექვსის ნახევარი იქნებოდა უკან რომ გაბრუნდნენ. სულ ცოტა ხანში სროლების ხმაც გაისმა. მაშინვე პოზიციები დავიკავეთ. 10—15 წუთის შემდეგ პირველი ყუმბარა აფეთქდა ე.წ. საკონტროლო პუნქტთან და ბრძოლაც გაჩაღდა. ეტყობოდათ, რომ ძალიან ბევრნი იყვნენ და ადგილზეც მჭიდროდ ვყავდით მოქცეულები. ექვსი საათი ვიგერიებდით მტრის აღმატებული ძალების შემოტევას. შეიარაღებულნი იყვნენ ყუმბარმტყორცნებით, ე.წ. „მუხებით“ და კალაშნიკოვის ავტომატზე მომაგრებული სპეციალური ყუმბარმსროლელე-

დასასრული მე 4 - გვ.

სტატუსი იქნება, საზღვრები — არა

როგორც ე. წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ერთ-ერთმა მაღალ ჩინოსანმა წარმომადგენელმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, მოსკოვში, გადაწყდა ოსებისათვის ავტონომიის სტატუსის განსაზღვრა საქართველოს შემადგენლობაში. დავის საგანი შეიძლება იყოს ავტონომიის რანგი. როგორი იქნება ის — კულტურული, რაც მიუღებელია ოსებისათვის, ოლქი როგორიც იყო ადრე, რაც ასევე მიუღებელია მათი უდიდესი ნაწილისათვის თუ რესპუბლიკა, რასაც ძალიან ცოტანი შეეგუებიან. ბუნებრივია ურუსეთოდ არც ეს კამათი ჩაივლის.

აღნიშნული ხელმძღვანელი პირი დღიდან ამ კონფრონტაციის დაწყებისა ოპოზიციაში უდგას კულუმბეგოვ-ჩოჩიევის კლანს, რადგან ამტკიცებს რომ რუსეთი, ისევე როგორც ოციან წლებში, გამოიყენებს ოსებს საქართველოს წინააღმდეგ და შემდეგ მიატოვებს მათ. რადგანაც მისი სიტყვები ნაწილობრივ, მაგრამ მაინც მართლდება, რუსეთი არ აპირებს და ვერც დააპირებს „სამხრეთ ოსეთის“ თავის შემადგენლობაში შეყვანას, იგი შესაძლებლად თვლის ცხინვალის ხელისუფლებაში მოხდეს სერიოზული ცვლილებები. უკანასკნელ ხანებში მომხდარი მოვლენებიც, მხედველობაში გვაქვს შეტევა ჩოჩიევ-თეზიევის დუეტზე ამის დამადასტურებელია. ჩოჩიევი ყველაზე უკომპრომისოა ქართველთა მიმართ, თეზიევი რუსეთის ფედერაციის მოქალაქეა.

ამ ფონზე ლოგიკურად გამოიყურება რუსეთის თავდაცვის მინისტრის გრაჩოვის ვიზიტის დროს ჯერჯერობით სიტყვიერად მიღწეული შეთანხმებები საქართველოს ხელისუფლებასთან ანუ ოსეთ საზღვრების იდეა. უვიზო მოძრაობა ჩრდილოეთისაკენ სამხრეთში კომპაქტურად დასახლებული ოსებისა ნიშნავს კავკასიონის ბარიერიდან სეპარატისტული იდეებისა და მათი შემამგრებელი ბანდიტ ელემენტების გამუდმებულ იმპორტს.

თუ საზღვრები მტკიცედ არ ჩაიკეტა საქართველო დაკარგავს ამ კუთხეს და მიიღებს 35 ათასზე მეტ ქართველ ხიზანს, რომლებიც ბუნებრივია დედაქალაქს შეეკედლებიან რითაც მკვეთრად გაურთულებენ ცხოვრებას თბილისელებს.

ვისაც პური უნდა...

უკანასნელ ხანებში შეიმჩნევა ოსთა საკმაოდ შერბილებული დამოკიდებულება, როგორც დიდი ლიახვის ხეობაში მცხოვრები ქართველების ისე საერთოდ ცხინვალის შემოგარენში არსებული ქართული სოფლების მოსახლეობისადმი.

მიზეზი ორია.

პირველი. ქალაქში გაჭირდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, განსაუთრებით ისეთი, რომლებიც ან არ იშოვება ჩრდილოეთში ან არატრანსპორტაბელურია. ქართველები, რომლებსაც ასეთი პროდუქტის ნამეტი გააჩნიათ ამჯობინებენ გაყიდონ ისინი ქალაქის შესასვლელებში მოწყობილ იმპროვიზირებულ ბაზრობებზე, ზოგიერთი უშუალოდ ცხინვალის საკოლმეურნეო ბაზარზე შესვლასაც ბედავს. მითუმეტეს რომ იქ ანაზღაურება რუსულ მანეთებზეა და არა კუპონებზე, რომლებიც იმ რეგიონში არასოდეს იყო პოპულარული.

მეორე. უახლოეს ხანებში ოსებს განზრახული აქვთ როგორც სამხრეთში ისე ჩრდილოეთში ჩაატარონ რეფერენდუმი ოსეთის მთლიანობის აღდგენის შესახებ. ისინი იმედოვნებენ თუ ქართველები მონაწილეობას არ მიიღებენ ამ რეფერენდუმში, იქნებ ხელი მაინც არ შეუშალონ. არ არის გამორიცხული, რომ საქართველოს ხელისუფლებისაგან აბსოლუტურად მიტოვებულ ქართულ სოფლებში რუს-ოსთა დაწოლის შედეგად მოეწყოს ე. წ. სარეფერენდუმო პუნქტები, რაც პროპაგანდისტული სპეკულაციისათვის იქნება გამოყენებული ჩვენი მოწინააღმდეგეების მიერ.

თავიაანთი მიზნების მისაღწევად მტრები არაფერს ერიდებიან, ქვეყნის ფაქტიური ხელისუფლება კი ყველაფერს ირიდებს, რაც იმ რეგიონში ხდება.

ვისთვის მზადდება სანგრები?

ცხინვალის შესასვლელი სულ უფროდაუფრო იქსელება საფორტიფიკაციო ნაგებობებით. ამ ორიოდე დღის წინათ სპეციალური სანგარსათხრელი მანქანით გაიჭრა საერთო ჯამში ხუთ კილომეტრამდე სანგრის ტეხილი ზოლი.

ეს თავდაცვითი მშენებლობა სამხედრო — საინჟინრო მეცნიერების ყველა წესის გათვალისწინებით ხორციელდება, ხოლო თუ ვის წინააღმდეგ არის მიმართული ეს ბუნებრივია ეჭვს არ იწვევს.

საინტერესოა ე. წ. ქართული სამშვიდობო ძალების მეთაურობა, რომლის ცხვირწინაც ხდება ეს ყველაფერი თუ იღებს რაიმე ზომებს ოსების მიერ ამ გაცხოველებული მზადების გამო. ყოველი ახალი ასეთი ნაგებობა ქართველი ჯარისკაცის სიცოცხლედ უნდა დაჯდეს. თუ ფიქრობს ამაზე ვინმე საქართველოს ხელისუფლებაში.

მერაბ მაისურაძე

ანათემაზე, რის გულისთვის?

დღეს, მსოფლიო მასშტაბით ისლამის აღმავლობის ხანაში, ჩვენთვის უპირველესად საინტერესო უნდა იყოს ის გარემოება თუ რა ზეგავლენას მოახდენს და საბოლოოდ როგორ აისახება ეს პროცესი ქართველი მაჰმადიანების ცნობიერებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბოლო ხანებში ქართველი სწავლულები სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ ისლამის ფაქტორს როგორც ისტორიულად, ისე თანამედროვე ეტაპზე და მის მიმართებას ქართულ სინამდვილესთან. პრობლემის სირთულის გამო, ამ გამოსვლებში ბევრი რამ სადავოცაა და აშკარად მიუღებელიც. ამასთან, ამ გამოსვლებში ცალსახად იკითხება ის აზრიც, რომ საქართველოში ისლამი რელიგიური აღმსარებლობის დონეზე უნდა დარჩეს და არ უნდა მოხდეს მისი პოლიტიზაცია.

ისლამის პოლიტიზაციას როცა ეხება საუბარი, უპირველესად გათვალისწინებულია ის გარემოება, რომ პოლიტიკისა და იდეოლოგიის სამსახურში ჩამდგარი ისლამი სცილდება რელიგიური აღმსარებლობის ჩარჩოებს და არაერთგვაროვან მოვლენას წარმოადგენს. ამაზე არაორაზროვნად მიუთითებენ სხვადასხვა და მათ შორის მუსლიმანური ქვეყნების მეცნიერები, პოლიტიკოსები და სხვ. ყველაფერი ეს გასათვალისწინებელია, მაგრამ კატეგორიულად უნდა ითქვას, რომ ეს სრულებით არ ნიშნავს რაიმე ფორმით ქართველ მაჰმადიანთა რელიგიური მრწამსის წინააღმდეგ ბრძოლას.

სამწუხაროდ, ჩვენში ზოგიერთებს ალბათ სუტად არ სურთ გაიგონ ეს ანბანური ჭეშმარიტება და ისლამთან დაკავშირებულ გამოსვლებზე ან საერთოდ არ ასდებენ რეაგირებას ან კიდევ ინტენსიურად აფასებენ მათ. ამ შეფასებებს ავტორები სტერეოტიპების ტყვეობაში ირიან, ავლენენ აბსოლუტურ დილეტანტიზმს ისლამის საკითხებთან და ამასთან პროვოკაციულად მიაწერენ გამოსვლების ავტორებს მუსლიმანური აღმსარებლობის წინააღმდეგ ბრძოლას, აჭარიდან მოსალოდნელ საფრთხეს საქართველოსათვის და ა.შ. ამის ნათელი დადასტურებაა გაზეთ „საქართველოში" (№26, 6-12 აგვისტო, 1993) გამოქვეყნებულ აბესალომ ანანიძის საინტერესო წერილს — „ისლამის საკითხი თანამედროვე ეტაპზე და საქართველო" გამო ატეხილი ალიაქოთი გაზეთ „აჭარაში".

ბ-ნი ა.ასლანიძე განათლებით ისტორიკოსია, დამთავრებული აქვს ქ.ივანოვოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, მისი სადიპლომო ნაშრომი — „ისლამის მოდერნიზაცია და ეთნოტიზაცია თანამედროვე ეტაპზე (საუდის არაბეთისა და პაკისტანის მაგალითზე)" მომზადებულია მოსკოვში, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, დიდძალი ლიტერატურა მასალების გამოსაყენებლად სადისერტაციოზე. ამჟამად მას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში დამტკიცებული აქვს საკვალიფიკაციო თემა სათაურით: „ისლამი და საქართველო". ქვემოთ ვნახავთ თუ რატომ დაჭირდა ასე დაწვრილებით შეჩერება ა.ასლანიძე თავის წერილში აყენებს საკითხთა ფართო წრეს, რომელთა ობიექტური კვლევა-ძიების გარეშე გაგვიჭირდება ისლამის პრობლემატიკის გაგება. ავტორი, რამდენადაც ამ კვლევარის თაობაზე საკმაოდ ლაპარაკობს მეზობელი მუსლიმური ქვეყნის — თურქეთის მისამართით და ფლიად მართებულად შენიშნავს, რომ აჭარაში მუსლიმანობის ბედი მეზობელი ქვეყნის გარკვეული წრეების ნება-სურვილით არ უნდა წარიმართოს. ვინც ოდნავ მაინც ჩახედულია საერთოდ რელიგიის და კერძოდ ისლამის სპეციფიკაში, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, შეუძლებელია არ გაიზიაროს ა.ასლანიძის წერილში გატარებული ძირითადი აზრები.

ისიც უნდა ითქვას, რომ ა.ასლანიძე ქართველ მაჰმადიანთა ინტერესების დამცველია და ეს კარგად იგრძნობა აღნიშნული წერილიდანაც. ეჭვი არ მეპარება, რომ ეს წერილი, სპეციალისტთა მხრიდან ისეთივე დადებით შეფასებას დაიმსახურებს, როგორიც

ანათემაზე, რის გულისთვის?

დაიმსახურა მისმა პირველმა თეორიული ხასიათის წერილმა ისლამის წარმოშობის პირობებზე („მაცნე", ფილოსოფიის... სერია, №4, 1992).

ა.ასლანიძის წერილში ზოგიერთი რამ სადავოა, არის არაკორექტული ფრაზები, რაც ბენებრივია დამწყები მკვლევარის კვალობაზე. რაც მთავარია, საქართველოში იწყება ისლამის მეცნიერული კვლევა, თავისუფალი ყოველგვარი ათეისტური, იდეოლოგიური და კონიუნქტურული დატვირთვისაგან. ეს კი მისასალმებელია და მხარდასაჭერი ფაქტია.

ამის ფონზე კი, ა.ასლანიძის აღნიშნულ წერილთან გაზეთ „აჭარაში" ატეხილი დიდი აჟიოტაჟი დამაფიქრებელია და ნებით თუ უნებლიედ არც თუ ისე შორეული წარსულის საბჭოური იდეოლოგიის წნეხს გვახსენებს.

რად ღირს ის ფაქტი, რომ ერთი კვირის განმავლობაში, მხოლოდ ერთი ნომრის გამოტოვებით „აჭარაში" ოთხი წერილი გამოქვეყნდა (13, 17, 18, 20 აგვისტო) ა.ასლანიძის წერილის წინააღმდეგ, რომელთაგან პირველი ორი გაზეთის პირველ გვერდზეა დაბეჭდილი, მესამეც პირველ გვერდზე იწყება, ხოლო მეოთხე მეორე გვერდზე. რაღაც საგანგაშო ვითარება ამოუკითხავთ ავტორებს, რაზედაც მეტყველებს ისიც, რომ შემფასებლებად მოგვევლინენ არასპეციალისტები, ძირითადად დიდი თანამდებობის პირები, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო რელიგიურ პრობლემატიკასთან. გამოხმაურებები სასწრაფოდ, კამპანიური წესითაა მომზადებული, რის დასტურიცაა პრველივე გამოხმაურება რეპლიკის სახით (13 აგვისტო), რომელსაც ავტორის გვარის ქვემოთ მიწერილი აქვს — „12 აგვისტო".

აღნიშნულ გამოხმაურებებში გარდა ზერელე განცხადებებისა, ვერაფერს ნახავ ისეთს, რის გამოც ღირდეს მათ ავტორებთან კამათი. მხოლოდ იმის გამო, რომ დავრწმუნდეთ თუ რა დაბალი დონისაა ეს გამოხმაურებები, ზოგიერთ მომენტზე შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას.

პირველი გამოხმაურების ავტორია — ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი აზიზ ახვლედიანი. ის რეპლიკის დასაწყისშივე ავტორს მოიხსენიებს „ვინმე აბესალომ ასლანიძედ" (სწორედ რომ რექტორის შესაფერისი ტონია!), თუმცა შემდგომ მას წარმოადგენს „თეოლოგ ავტორად"

ბ-ნი ა.ახვლედიანი ერთ ამბავს ტეხს იმის გამო, რომ ა.ასლანიძის აღნიშვნით „დღეს აჭარაში მოხუც მუსლიმანთა შორის ეროვნება და რელიგია გაიგივებულია", „აჭაური კაცის ცნობიერებაში ეროვნება რელიგიასთან შედარებით მეორეხარისხოვან მოვლენად იქცა". ეს კი ა.ახვლედიანს „გაუგონარ მკრეხელობად" და შეურაცხმყოფელად მიაჩნია. სინამდვილეში კი აქ საქმე გვაქვს არაკორექტულ

ანათემაზე, რის გულისთვის?

და დასაზუსტებელ ფრაზებთან (და არა თითო-ოროლა „შემთხვევით გადაყრილ ფანატიკოსის წამონაროშის" განზოგადებასთან, როგორც ეს მიაჩნია ა.ახვლედიანს).

ბ-ნი ა.ახვლედიანი თავის რეპლიკაში ვითარებას ისე წარმოადგენს, თითქოსდა ა.ასლანიძე ვერ ხედავდეს განსხვავებას შიიტ ირანელებსა და სუნიტ საუდელებს (?!-მ.მ.) შორის, ხოლო ქუვეიტელებსა და ერაყელებს ერთიდაიგივე ეროვნების ხალხად მიიჩნევს. ელემენტარულ გაუგებრობასთან უნდა გვქონდეს საქმე! სინამდვილეში ა.ასლანიძე ლაპარაკობს ისლამის სპეციფიკაზე, რაც ეროვნულ განუსხვავებლობასა და რელიგიურის ეროვნულობაზე მაღლა დაყენებას გულისხმობს. ამასთან, გვინდა თუ არა, ქუვეიტელები და ერაყელები ძირითადად მართლაც ერთი ხალხია — არაბები. ამის დასადგენად დიდი კვლევა-ძიებებიც საჭირო არაა, ნებისმიერ ენციკლოპედიასა და ენციკლოპედიურ ლექსიკონებში ეს გარკვევითაა აღნიშნული.

ბ-ნი ა.ახვლედიანი ასახელებს წინაპრებს, მათ შორის შერიფ ხიმშიაშვილს, რომლებიც მაჰმადიანები იყვნენ, მაგრამ ქართულ საქმეებს აკეთებდნენ. სინამდვილეში შერიფ ხიმშიაშვილი ბოლოს ქრისტიანულად მოინათლა და სახელიც გამოიცვალა, ამდენად მისი მოხსენიება მაჰმადიან წინაპრად, რბილად თუ ვიტყვით გაუგებრობაა.

საერთოდ ა.ახვლედიანი შეუწყნარებელ აგდებულ დამოუკიდებლობას იჩენს ახაოგაზრდა მკვლევარის მიმართ. როცა ის რელიეფურად ჩამოთვლის ნაკლოვანებებს აღნიშნავს: „მსგავს მაპგალიტებს წერილში მრავლად იპოვით..." აქ კი მკითხველს გაუჭირდება იმის გაგება ირონიაა ეს თუ მართლა მარგალიტებთან გვაქვს საქმე.

განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით მართლაცდა ვინმე ოსიკო გვარიშვილი (კონკრეტულ შემთხვევაში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს მის რეგალიებს) ვრცელ წერილში პომპეზური სათაურით — „ქაღალდის ვეფხვი", ანუ საიდან ჭრის ქარი" („აჭარა", 18 აგვისტო) ღობე-ყორეს ედება, თავისი შეზღუდული თვალსაწიერიდან აფასებს ისლამის პრობლემებზე გამოთქმულ მოსაზრებებს და რადგან სათქმელი არაფერი აქვს წერილის მეოთხედზე მეტს იმის საილუსტრაციოს იყენებს, მაჰმადიანი ქართველები (კონკრეტულ შემთხვევაში აჭარლები) საქართველოს საფრთხეს არ უქმნიან. (გეგონება ამას ვინმე ამტკიცებდეს!) სამაგალითოდ კი მიმართავს თავისივე ნათესაობის — გვარიშვილობის გათხოვება-დაქორწინების ფაქტებს ქრისტიან ქართველებთან, ყვება მათი ჯვარის დაწერის შესახებ და ა.შ. საკითხავია, კაცი, ვინც საკუთარ ნათესაური წრის გარდა სხვა მაგალითებს ვერ უხმობს, აქვს კი მორალური უფლება ასეთ ურთულეს საკითხებზე იმსჯელოს საჯაროდ. ან ვის აკვირვებს ამგვარი მაგალითებით და ვინ უარყოფს ამას.

სამეულის წერილშიც („აჭარა" 20 აგვისტო) მსგავსი გაუგებარი ბრალდებებია. ამასთან საქართველოს ორად გახლეჩა შეფასებულია, როგორც პოლიტიკანების, კარიერისტებისა და მომხვეჭელების „მოღვაწეობის" შედეგად.

დოც. იური ბიბილეიშვილის გამოხმაურებაში („აჭარა", 17 აგვისტო) ძირითადად გაზიარებულია ა.ასლანიძის წერილში გატარებული მოსაზრებები. უფრო მეტიც, მის მიერ 6 პუნქტად ჩამოყალიბებული შენიშვნები გარკვეულწილად ა. ასლანიძის პოზიციის შემაგრებაა. აქ პოლემიკის თვალსაზრისით თითქოსდა ყველაფერი თავის ადგილზეა, მხოლოდ საკითხავია თუ რატომ ჩაერთო ავტორი ამ დაგეგმილ კამპანიაში.

ი.ბიბილეიშვილის გარდა ა.ასლანიძის წერილის დადებით მომენტებზე მიუთითებს ა.ახვლედიანიც, ხოლო ო.გვარიშვილი ვერ უარყოფს მის ჩახედულებას ისლამის საკითხებში. ყველაფერი ეს უფრო აბუნდოვნებს და ართულებს გაზეთ „აჭარის" ხსენებული აჟიოტაჟის ნამდვილი მოტივების დადგენას.

დასასრულს კი უნდა ითქვას, რომ არაფერია გასაკვირი იმაში, რომ კრიტიკულად იქნას შეფასებული ესა თუ ის მოსაზრება. უფრო მეტიც, ეს აუცილებელიცაა. მაგრამ დიდი განსხვავებაა კრიტიკულ შეფასებასა და პროვოკაციულ გამოხდომებს შორის. სამწუხაროდ „აჭარის"ხსენებული გამოხმაურებები არსებითად გამოხდომების კვალიფიკაციას იმსახურებენ. ამ სახის გამოხმაურებს კი ავადმოსაგონარი 30-იანი წლების საბჭოთა სინამდვილეში გადავყავართ, როცა განსხვავებული აზრისათვის მის ავტორს ანათემა არ ასცდებოდა. თუ რა „სიკეთე" მოიტანა თავის დროზე, ქვეყნის ბედზე „მზრუნველთა" ამგვარმა „სიფხიზლემ", კარგადაა ცნობილი. ამიტომაც, ამ საშიში ტენდენციის წინააღმდეგ ბრძოლა დღესაც აუცილებელია.

მინაწერი: „აჭარაში" ატეხილ აჟიოტაჟს მზარს უჭერს პარლამენტარი ვეტერან ლორთქიფანიძე წერილში. — „აცი იყავ კაცური და — „აჭარა", 27 აგვისტო, 1993). წერილის პრეამბულაში ვლორთქიფანიძე ყოველგვარი საბუთის გარეშე აღნიშნავს, რომ ზოგიერთი ავტორი და მეცნიერი (სიტყვა მეცნიერი ბრჭყალებშია) ცდილობს ანტიმუსლიმანური ტალღის აგორებას საქართველოში. ბ-ნი პარლამენტარი, თუ კი კვლავ გაგრძელებს ასეთ პროვოკაციულ გამოხდომებს, იძულებული ვიქნები მივმართო პარლამენტის შესაბამის კომისიას რეაგირებისათვის.

ვ.ლორთქიფანიძის წერილი ეძღვნება „რელიგიების შესწავლისა და აღორძინების ფონდის" პრეზენტაციას. მაგრამ ამ კალამბურში რას არ გაეცნობა მკითხველი დაწყებული ავტორისეული პოპულისტური წიაღსვლებიდან საქართველოს ისტორიაში, დამთავრებული საკუთარი წარსულის ანალიზით. კურიოზების სფეროს უნდა მიეკუთვნოს ის ფაქტი, რომ ვ.ლორთქიფანიძე, მისივე აღიარებით დღემდე ათეისტი, ვინც სიონის ტაძარში პირველად(?!) წელს შესულა (სახელმწიფოს მეთაურს ხლება), ამავე პრეზენტაციაზე მისდა უნებლიედ მაჰმადიან ქართველთა ინტერესების დამცველის როლში მოგვევლინა. ნამდვილად „საშური" თვისება აქვთ გამოუსწორებელ კომუნისტებს: ყველგან და ყველაფერში პირველობა სურთ, იმაშიც კი, რასაც მთელი თავისი ცხოვრება ებრძოდნენ და შინაგანად ებრძვიან დღესაც.

უფრო საინტერესო ისაა, რომ ვ.ლორთქიფანიძის კალამბურის ის ადგილები, სადაც ისლამზეა საუბარი და რომლებიც გამოტანილი იქნა პრეზენტაციაზე, არსებითად ემთხვევა ა.ასლანიძის წერილში გატარებულ მოსაზრებებს. გაზეთი „აჭარა" კი ერთსა და იმავე საკითხზე ორი მსგავსი წერილიდან (დონეებზე არ ვლაპარაკობთ) ერთის ავტორს ანათემას აძლევს, მეორეს კი მწვანე შუქს უნთებს.

P. S.

ჩვენს წერილში შეგნებულად ავუარეთ გვერდი „აჭარაში" ატეხილი აჟიოტაჟის ნამდვილ მიზეზებს. თუმცა ვიცოდით თუ რა მოჩვენებები ედო ყოველივე ამას საფუძვლად, და მართლაცდა „საიდან ჭროდა ქარი". მაგრამ ჭირმა თავი ვერ დამალა და 8 სექტემბერს ტელეინტერვიუში აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ასლან აბაშიძემ „საქართველო" დასახურ გაზეთად მიიჩნია, რადგანაც მასში გამოქვეყნდა წერილი (ასლანიძის წერილი იგულისხმება), სადაც აღნიშნულია, რომ მაჰმადიანი ქართველისათვის (იგულისხმება აჭარელი) ეროვნულობა მეორე ხარისხოვანი მოვლენაა.

აქაც ელემენტარული გაუგებრობაა, რაზედაც გვქონდა ზემოთ საუბარი. კვლავ სწორად ვერაა ამოკითხული აზრი და ერთმანეთში არეულია ზმნის დროის ფორმები.

რაც შეეხება გაზეთის დახურვას, პრესის კანონის თანახმად, ამას უფრო „აჭარა" იმსახურებს, სადაც დიდი ხანია აღარ დაბეჭდილა განსხვავებული აზრი — ოპონენტებს ერთხელაც არ მისცემიათ საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალება. მაშინ როცა, „საქართველოში" ა.აბაშიძის პოლიტიკის კრიტიკასთან ერთად ქვეყნდება როგორც მისი პიროვნებისა და საქმიანობის საქებარი, ისე მისი ოპონენტების წინააღმდეგ მიმართული წერილები. მაგრამ პრესის ამგვარ კანონს ა.აბაშიძისეული დემოკრატია საერთოდ არ სცნობს. თუნცა გაზეთ „საქართველოს" ხემძღვანელობა ალბათ თითონვე გასცემს ღირსეულ პასუხს ასლან აბაშიძის ამ გამოხდომას.

მიხეილ მახარაძე

რატომ არ ანთავისუფლებენ უკანონოდ დაპატიმრებულს? ანუ როგორ ესმით დემოკრატია აჭარაში?

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ მიმდინარე წლის 12 აგვისტოს, საკუთარ სახლში, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ახალსოფელში, ღამის 3 საათზე, დაკავებულ იქნა ბიჭიკო მუსტაფის ძე სურმანიძე, რომლის ბინიდან ჩხრეკის შედეგად პოლიციამ ამოიღო „მაკაროვის" ტიპის პისტოლეტი, რომელიც რეგისტრირებულია, წარმოადგენს ტაბელურ იარაღს და აქვს საქარხნო ნომერი 1289 და რომელიც გახდა სწორედ ბიჭიკო სურმანიძის დაპატიმრების მიზეზი, ანუ მას ბრალი ედება საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 238-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში იარაღის უკანონოდ ტარებაში.

ბიჭიკო სურმანიძე, ოფიციალური სამხედრო სტრუქტურების მონაცემებით, ირიცხება საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს I საარმიო კორპუსის პირად შემადგენლობაში ოფიცრად და აქვს იარაღის ტარების უფლება.

ეს ცნობილია ქ.ბათუმის პოლიციის განყოფილების ხელმძღვანელთათვის, სადაც წარდგენილიცაა შესაბამისი დოკუმენტები, მაგრამ რატომღაც დღემდე არ იქნა მიღებული ზომები, რომ პატიმრობიდან გაენთავისუფლებინათ სამხედრო ოფიცერი ბიჭიკო სურმანიძე.

საინტერესოა, რა მოსაზრებით იქნა დაკავებული პოლიციის მიერ ბიჭიკო სურმანიძე და რატომ არ ანთავისუფლებენ მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი ბრალდება — იარაღის უკანონო ტარება — მოხსნილია.

როგორც სჩანს, აჭარაში, რომელსაც მავანნი და მავანნი არც თუ იშვიათად დემოკრატიისა და სიმშვიდის ოაზისად ნათლავენ, დემოკრატიას სულ სხვა პრიზმაში უყურებენ და არც ადამიანის უფლებების შელახვაზე იკავებენ თავს, როცა ეს „საქმეს" სჭირდება.

პაატა პატარაძე

ბერიას დღიურები

ჩანაწერი მეხუთე

მოსკოვი,

1951 წელი, ნოემბერი

დამქანცველი კვირა იყო, ვინაიდან მოსკოვისათვის ბრძოლის ათი წლისთავის ტრადიციული დღესასწაული დაერთო. და პატრონმა გვაგრძნობინა, რომ დღესასწაული კარგად უნდა აღნიშნულიყო. კმაყოფილნი უნდა დარჩენილიყვნენ ბრალო ადამიანებიც და უცხო ქვეყნის წარმომადგენლებიც.

ასე ბანკეტებსა და მიღებებს სასტუმრო „მოსკოვში“ ვაწყობდით ხოლმე. და ახლაც ამ სამზედროებისა და მლიქვნელთა წრისათვის ჩვენმა სამსახურმა გუშინ საღამოსვე იზრუნა.(უნდა აღვნიშნო,რომ ეს შენობა ჩვენი ქალაქისათვის სამარცხვინოა და მისი არქიტექტორები ყველანი მკაცრად დასასჯელები არიან. გათბობა მუშაობს შესვენებებით, ბათქაში ან დამოშლილი, ან დაობებულია, კედლებიდან ამოშვერილია გამტართა დაწყვეტილი თავები, ისე გუგუნებს წყალსადენი, როგორც რკინიგზის სადგური, სააბაზანო ოთახის კარები არ იკეტება, უნიტაზში წყალი არ ეშვება. მაგრამ ეს სასტუმრო მაინც ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება ქალაქში — იგი გათვალისწინებულია არა მარტო ბურჟუაზიული სამყაროს წარმომადგენლებისათვის, არამედ მეგობარი ქვეყნების დელეგაციებისათვის. წარმომიდგენია რა შთაბეჭდილებას მოახდენს იგი მათზე — სირცხვილი და თავის მოჭრაა.)

ზეიმი მესამე სართულის საბანკეტო დარბაზში გაიმართა. მე გვიან, მოჟამულ ხასიათზე მივედი, იმიტომ, რომ ახალი დაბრკოლებები და სიამოვნებანი აღმოცენდა. ისინი, ორივენი საეზიზღარი პედერასტები არიან და მასთან ერთად ალკოჰოლისტებიც. ასე რომ მათ მიერ მოტანილ ამბებს მე ყოველთვის განსაკუთრებული სიფრთხილით ვეკიდები. მაგრამ მე მივიღე ცნობა, რომ მათი გამოქცევა ჯერ კიდევ განგაშს იწვევს ბურჟუაზიულ სამყაროში, რომ ემუქრება მათ სიმშვიდეს და აძლიერებენ ყურადღებას. მათმა გამოქცევამ თანამდებობიდან ფლების გადადგომა გამოიწვია, ეს ისეთი დანაკლისია, რომელსაც ასე ოლად ვერ შეაფასებ. მაგრამ საქმე უფრო ცუდად იყო — ეს ემუქრება ...

ბრიტანელები რა თქმა უნდა, კანონის პატივისმცემელი ხალხია და დათმობი. მათ არ დააპატიერეს მაგრამ დიპლომატიური სამ სახურიდან მისი წასვლა დიდი დანაკარგია, და თუ მაინცდამაინც გამოძიებას შეუდგნენ, ისინი მიაღწევენ იმას, რომ...რასაც შეუძლია ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩამაგდოს. ამჟამად კი მმე მრჩება მხოლოდ ის რომ ღმერთს შევევედრო, რომ იმ ორს არ მიბაძოს და მოსკოვში არ გამოიქცეს.

იმ საღამოს მე სასტუმროში ბანკეტზე ისეთ ეროს მივედი, როცა მხიარული განწყობილება ზენიტში იყო — მაგიდები გაწყობილი იყო ბოთლებითა და შოკოლადებით, რომელთა უმეტესობა უკვე შეჭამთ. მაგრამ ჩემთვის ხელუხლებლად დაეტოვებინათ მაგიდის ერთი ნაწილი, სადაც ყოველივე ხელუხლებლად იყო გაწყობილი. ყველამ უკან დაიხია და მომცეს გზა მაგიდასთან მივსულიყავი.

მე მომესალმა მთელი ძველი ბანდა — აღარაფერს ვაბობ აბაკუმოვზე (ვ.ს.აბაკუმოვი, ბერიას მარჯვენა ხელი, მეთაურობდა კონტრდაზვერვას, 1946 წელს დაინიშნა სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრად. 1951 წლის ბოლოს მოხსნეს და 1954 წლის დეკემბერში დახვრიტეს.), იქ იყვნენ დეკანოზოვი, გვიშიანი, ბაგიროვი, მერკულოვი, ბაქრაძე (ბერიას „ქართული ბანდის“ წევრები. გვიშიანის გარდა ყველანი დახვრიტეს 1953 წლის დეკემბერში.) და სხვა ხარისხით უფრო დაბალი სხვადასხვა რაიონიდან და ქალაქიდან. ისინი შემომეხვიენ — ყველანი იყვნენ გაპარსულნი, პრიალა ფიზიონომიით და მიეკერდნენ ირიბი თვალებით. უნდა ვთქვა, რომ მათი გამომეტყველების შემხედვარეს კინაღამ გული ამერია, სული შემეხუთა — ჩემს წინაშე ხომ უშიშროების სამსახურის მთელი ნაღები იდგა, რომლნიც გულმოდგინედ იყვნენ არჩეულნი სოციალიზმის, საბჭოთა ხალხის სადარაჯოდ. მონებივით ერთგული ლაქიების მეტი რა მინახავს, ისინი ძალიან ჰგავდნენ მოსწავლეთა ჯგუფს, რომელნიც თავიანთ პირველ ბალზე დამთვრალან.

ჩვეულებრივ, მაღალი თანამდებობის პირთა ცოლები პირველივე სადღეგრძელოების შემდეგ წავიდნენ, დარჩენილნი კი მოლოდინით სავსე თვალებით მიცქერდნენ და ელოდნენ, როდის მივცემდი მათ ტონს. მივიღე ჩემთვის სპეციალურად მორთმეული ჭიქა „განსაკუთრებული“ და თვალი მოვავლე ყველას, ვხედავდი უშიშროების სამსახურისთვის თავდადებულნი როგორ წითლდებოდნენ ჩემი შეხედვისას. ცუდი იყო, რომ აქ ქალთა საზოგადოება არ იყო, მაგრამ ეს წესის დარღვევა იქნებოდა.

მათ მაგივრად ჩემს გარშემო აბაკუმოვი და მისი მოსამსახურენი ტრიალებდნენ. დამსწრეთა შორის მხოლოდ ის ერთი იყო სულ ფორმაში, შავი ხშირი თმა გულმოდგინედ გადაევარცხნა უკან და ზედ რაღაც სითხე გადაესვა, მისი უხეში მრგვალი პირისახიდან პარფიუმერიის სუნი მომდიოდა. თვითკმაყოფილნი და ერთგული მეტრდოტელია. იგი სვამდა ფრთხილად, როგორც ყოველთვის ჩემი თანდასწრებით და მაშინვე შეუდგა ჩემს გართობას თავისი ლაყბობით. არჩევდა სისხლის დონეს თირკმელებში ცემის შემდეგ.

როგორც პატრონს უყვარს თქმა, „из грязи в князи“. აი, სწორედ ვიქტორია ასეთი კნიაზი! როცა პატრონი ამბობს „ინტელექტუალურ დივერსანტებზე და უთვისტომო კოსმოპოლიტებზე“ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მხედველობაში არა ჰყავს ჩვენი საყვარელი აბაკუმოვი!

მოთმინებით ვუსმენდი მას, მაგრამ ბოლოსდაბოლოს ყელში ამომივიდა — მე ხომ კარგად ვიცი, რომ თუმცა იგი თავდადებული და წესიერი მოსამსახურის სახეს გვიჩვენებს, სინამდვილეში მენაგვე და უკანასკნელი ხულიგანია, რომელიც საკუთარი კეთილდღეობისათვის და თანამდებობისათვის საკუთარ დასაც კი გაჰყიდის. ბოლოსდაბოლოს გავაწყვეტინე აზრი და შევამჩნიე, როგორ გაწითლდა ყურებამდე, შებრუნდა სახით ჩვენს გარშემო მყოფთაკენ და ასწია თავისი ბოკალი .“სახელმწიფო უშიშროების პატრიოტ თანამშრომლებს გაუმარჯოს!“ — დავიძახე მე და აბსოლუტურად ყველამ გაიმეორა სადღეგრძელო. „ასე,— განვაგრძე მე ბოლოს ხელში, — მოდი შევამოწმოთ ამხანაგები თქვენი ინიციატივა! ვითამაშოთ მიკროფონზე ნადირობა „. („მიკროფონზე ნადირობა“ ასეთი თამაშია — უნდა იპოვო ოთახში დამალული მიკროფონი. ამავე დროს ეს ნიშანია იმისა, რომ ზეიმი უკვე ღრეობაში გადაიზარდა.) უნდა ვთქვა, რომ ყოველთვის დიდ კმაყოფილებას მიღებდი ამ თამაშის შემხედვარე. ვუყურებდი თუ როგორ გაავებული და მოუთმენლობით გლეჯდნენ ფარდაგებს, იატაკის საფენებს, აყირავებდნენ მაგიდებს, შლიდნენ ჭეღებს, ნათურებს, ეძებდნენ კედლებზე, დანებით აგლეჯდნენ კედლის პანელებს, — ერთი სიტყვით, ანგრევდნენ და ანადგურებდნენ ყველაფერს, როგორც ვანდალები.

მაგრამ იმ ღამით თამაში განსაკუთრებული გამოვიდა. შეიძლება იმიტომაც უფრო, რომ ჩაეულებრივზე უფრო გულმოდგინენობდნენ. ჩემმა ხალხმა ეს ნაგავი სასტუმრო ისე მიანგრა-მოანგრია, რომ ძაღლი პატრონს ვერ იცნობდა. იმდენი ჩემოგლეჯილი გაყვანილობის მავთული იყო, რომ ვერც დაითვლიდით, ძებნით გასავთებული ბიჭები ბრუნდებოდნენ, ცოტას დალევდნენ და ისევ ეძებდნენ.

მალე დარბაზში სიბნელე დამოწვა და ჩამონგრეული ბათქაშის მტვრით გაიჭედა ჰაერი, წარმატებას მაინც ვერ მიაღწიეს. (ჩვეულებისამებრ ამ შემთხვევაში სასტუმროზე მიმგარეულმა ოპერატიულმა მუშაკებმა იციან სადაცაა დამალული მიკროფონი და ელოდებიან მომენტს, რომ „იპოვონ“, მაგრამ ვფიქრობ ბიჭები ან ძალიან მთვრალები იყვნენ ან დაავიწყდათ სად იყო იგი.) წარმოიშვა საშიშროება, რომ თამაში არ გამოვიდოდა, როცა სამი ჯანიანი ბიჭი მივიდა კედელთან მდგარ დივანთან და მისი გამოწევა დაიწყო. ეს იყო დიდი მოოქროვილი დივანი მე-18 საუკუნის სტილში. უცებ სიხარულის ყიჟინა დასცეს და დამიძახეს, მანამ სხვები ოთხზე მდგარნი დანებით მუშაობდნენ. მივედი და მტვრიან იატაკზე დავინახე ბლოკნოტის ტოლა ლითონის ბადე. მათ, ვისაც ჯიბის დანები ჰქონდათ, გამოიყენეს როგორც სახრახნისი და ერთიმეორეზე ამოხრახნეს ხრახნები. დავითვალე თორმეტი. როცა ამოხრახნეს ბოლო ხრახნი, ქვემოდან რაღაც ჩავარდა და ქვედა სართულიდან მოგვესმა რაღაც აგ[illegible]მასწავებელი ხმაური.

ყველას დაეძახა ფიზიონომია, მაგრამ მაშინვე მოირბინა ერთმა ბიჭმა და გვიპატაჟა, რომ ქვედა სართულზე ჩავარდა ჭაღი, რომელიც ნაწილნაწილ დაიშალა და დაიმსხვრა! (ხუმრობა უკეთესი გამოვიდოდა, რომ ქვემოთ ოთახში ვინმე ყოფილიყო.) უნდა ვთქვა, რომ იმდენი ვიცინე, სანამ თვალებიდან ცრემლი არ წამომივიდა!

თარგმნა შ. ჯიბლაძემ

რა ქნას გასაცოდავებულმა ინტელიგენტმა? ანუ ტვინების გადინების პრობლემა საქართველოში

ამათ, ვინც თავისი შეგნებული ცხოვრების ნაწილი მაინც გაატარეს ე.წ. აყვავებული სოციალიზმის პირობებში (დღეანდელი გადასახედიდან მართლაც რომ აყვავებულად გვეჩვენება). ზოგ სხვა „სიკეთესთან“ ერთად ე.წ. გათანაბრების, რუსულად რომ ვთქვათ „уравниловка“- ის „სიკეთეც“ კარგად ეხსომებათ, რომლის ძირითადი პრინციპიც ის გახლდათ, რომ თანაბრად ყველას, — ინჟინერს, მასწავლებელს, მეცნიერს, ჟურნალისტს და მუშას თითქმის ერთნაირი ხელფასები და საცხოვრებელი პირობები ჰქონოდათ (რაც იდეაში არცთუ ურიგოა) და სწორედაც ამ პრინციპს ეფრდნობოდა კომუნისტური იდეოლოგია, როდესაც მისი აქტიური პროპაგანდისტები, ანუ კომუნისტ-ფუნქციონერები კოლექტივიზაციის, კომუნის, თანაბარი ბინაწილების სიკეთეზე საქვეყნოდ ესაუბრებოდნენ ქადაგებდნენ, თუმცა კომუნისტური ელიტის წარმომადგენლებს ამ დროს საკუთარი პირისკენ და ჯიბისკენ უფრო მსუქანი და მსხვილი ნაჭრების ფაფრევა არ ეთაკილებოდათ და სახელმწიფო ხაზინის ხარჯზე ფადიშაპებივით მორჭით ცხოვრობდნენ და ბევრ მათგანს, ეტყობა, ისე აქვს მაშინ ხელი ნაფაურები სახელმწიფოს ჯიბეში, რომ დღესაც არხეინად ცხოვრობს და არც მოგონებს უყურებს უიმედოდ.

ეს ე.წ. გათანაბრების ანუ „уравниловка“-ის ყბადაღებული პრინციპი იმიტომაც ეახლენ, რომ მაშინდელ მუშურ-გლეხურ სახელმწიფოში პარტიულ და ბიუროკრატიულ ელიტასთან ერთად მუშებიც ერთგვარად პრივილეგირებულნი გახლდათ და საცოდავ „გაჭაცულ“ ინტელიგენტზე (რიგით ინტელიგენტზე) ყოველთვის წინ იდგნენ. ეს ეხებოდა ხელფასებსაც, ბინების განაწილებასაც, დასასვენებელ საგზურებსაც და სხვა ზოგიერთ სიკეთესაც, რომელსაც სახელმწიფო უნაწილებდა ადამიანებს ამ გაუკეთმართებული წეს-წყობილების წინააღმდეგ ხმის ამოუღებლობისა და დუმილის ფასად.

თუ, ვთქვათ, ინჟინერს ხელფასი ჰქონდა 120 მანეთი, ამ დროს მუშა სამას, ოთხას, ხუთას, ზოგჯერ ექვსას მანეთსაც კი იჯიბავდა და არ ჰქონდა მნიშვნელობა იმას, რა გონებისა და იდეების პატრონი იყავი, ასიც მანეთი და მორნა,— არავითარი სხვა სტიმული. (არც მატერიალური, არც მორალური, რა თქმა უნდა, თუ არ ჩათვლით მაშინდელ თავდაცვითი მრეწველობის სფეროს). ამიტომაც იყო, რომ მართლაც ნიჭიერ, გამჭრიახი გონების მქონე და პროგრესული იდეების (ეგულისხმობ ტექნიკურ და ა.შ.) მატარებელ ადამიანებს ზშირად სტიმულიც კი ეკარგებოდათ იმისა (მატერიალურ მხარეზეც რომ არაფერი ვთქვათ),რომ ეზრუნათ თავიანთი იდეების რეალიზაციისათვის (რაც მაშინდელ ბიუროკრატიულ ლაბირინთებში არც ისე იოლი გახლდათ) და ტექნიკისა თუ მეცნიერების სხვადასხვა დარგი ახალი მიღწევებით გაეფილდრებინათ.

რა თქმა უნდა, იმის თქმა სულაც არ მინდა, რომ მუშის შრომა არ არის დასაფასებელი და რომ საბჭოურ პერიოდში სულ არაფერი გაკეთებული მეცნიერების სხვადასხვა ხეურიში მეთქი (ეს რომ ასე არ არის, ისედაც ცხადია), მაგრამ იმ პერიოდში ცივილიზებული სამყაროსათვის დამახასიათებელი სტიმულირების (მატერიალურიც და მორალურიც) ფორმები რომ ყოფილიყო ჩვენში (თუმცა ამისათვის სახელმწიფოს წყობილებაც სხვა უნდა ყოფილიყო), დღეს სრულიად სხვა სურათი გვქონდა.

ეს იმის ეესაზე, რაც იყო. დღეს ხომ აღარ ვცხოვრობთ სოციალიზმის პირობებში, დღეს ხომ მივილტვით ცხოვრების კაპიტალისტური წესისაკენ (ყოველ შემთხვევაში, ასე ვამბობთ), გვინდა განვავითაროთ თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა და საბაზრო ურთიერთობები, მაგრამ, სამწუხაროდ, ის ძველი წესი ცხოვრებისა ზშირად უკან გვეაჩება და როგორც სჩანს, არც ისე იოლია მისგან თავის დაღწევა.

დღეს როგორც მაშინ, კომუნისტური რეჟიმის პირობებში, გონებრივი შრომა ყველაზე ნაკლებ ანაზღაურებადია. აბა, ნახეთ, რა პირობებში და შრომის ანაზღაურების როგორ დონეზე უხდებათ მუშაობა ჩვენს ექიმებს, ინჟინრებს, მასწავლებლებს, ჟურნალისტებს. მართალია, წარმოებები გაჩერებულია, ეკონომიკა დაგრეულია და ირგვლივ ქაოსი სუფევს და ამ პირობებში ვერც ვერავის მოსთხოვ გონებრივი შრომის სათანადო ანაზღაურებაზე ოფიქრეო, მაგრამ მოშავალში, თუ ღმერთმა ჰქნა და დაეწყო ეს ჩვენი ბედკრული ქვეყანა და ნორმალური მთავრობაც გვყოლია, ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს იმაზე, რომ მოაზროვნე ადამიანებს, გონებრივი შრომით დასაქმებულებს ისეთი სამუშაო პირობები შეუქმნას და მატერიალური თუ მორალური წახალისების ისეთი ფორმები დანერგოს, რომ ნიჭიერმა ინჟინერმა, ექიმმა, მეცნიერმა სხვა ქვეყნისაკენ არ დაიწყოს ყურება და საკუთარ ოჯახს აჭკ შეახსნა ხორცი და ივი ქვეყანას მოახმარის.

ე.წ. „ტვინების გადინების“ პრობლემა მარტო ჩვენთვის არაა დამახასიათებელი. ეს პროცესი, შეტად თუ ნაკლებად, მსოფლიოს ყველა ქვეყანამ გაიარა და ამ ბოლო წლებში მან რუსეთშიც საკმაოდ ფართო ხასიათი მიიღო, მაგრამ იქაური ხელისუფალნი, მართალია გარკვეული დროის შემდეგ, მაგრამ მაინც ბიბდნენ იმას, რომ ამ პროცესის შედეგები დამღუპველი იქნებოდა ქვეყნისათვის და რამდენადაც ვიცი (ინფორმაციის საშუალებებით), დღეს ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ნიჭიერი „ტვინები“ ადგილზე დააყენონ, რადგან ეტყობა, მათ კარგად გაეცნობიერეს ის ამბავი, რომ ქვეყნისათვის ყველაზე ძვირფასი კაპიტალი სწორედ ნიჭიერი, ორიგინალურად მოაზროვნე ადამიანები არიან.

ჩვენთან კი, სამწუხაროდ, ამისათვის არავის სცალია, რადგან, მოგეხსენებათ, თუ რა პოლიტიკურ და ეკონომიკურ სიტუაციაში გვიხდება ცხოვრება და ქვეყნის ხელისუფლების ძირითად ზრუნვად პურის, შაქრის, ზეთის, საწვავის შოვნა გამხდარა. არადა, ბევრი ჩვენი უნიჭიერესი ექიმი და ინჟინერი, ბიზნესმენი და მეცნიერი თუ უკვე არაა წასული ახლო თუ შორეულ საზღვარგარეთში, მერწმუნეთ, რომ ამაზე ფიქრობს მაინც, რადგან, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ჩვენთან არაა იმის პირობები, რომ ადამიანმა ბოლომდე გამოავლინოს თავისი გონებრივი პოტენციალი და ამით საკუთარ თავსაც და ქვეყანასაც სიკეთე მოუტანოს.

იმის მაგალითად, თუ როგორ ნადირობენ ნიჭიერ თავებზე და იდეებზე საზღვარგარეთ, ერთი ასეთი ამბავიც კმარა: მოსკოვში გამოიცემა, მოგეხსენებათ, ჟურნალი „სუკა ი ჟიზნ“, რომელიც გამოირჩევა საინტერესო სტატიებით, პუბლიკაციებით, მეცნიერული გამოკვლევების გამოქვეყნებით, რომლებიც უხვად შეიცავენ სხვადასხვა პროგრესულ იდეებს და რაციონალიზატორულ წინადადებებს მეცნიერების თითქმის ყველა სფერიდან, რომელთა უმრავლესობასაც, მაშინდელ (საბჭოური) წყობის მოუქნელობის გამო განხორციელება არ ეწერა. ეს ჟურნალი წლების განმავლობაში გამოწერილი ჰქონია ერთ-ერთ იაპონურ ფირმას და [illegible] სპეციალისტების მეშვეობით აქედან არჩევდა სხვადასხვა რაციონალიზატორულ წინადადებებს, ხორცს ასხამდა მათ, იღებდა პატენტს და მათი რეალიზაციიდან მიღებული ფულით სოლიდური კაპიტალიც დაუგროვებია კიდეც.

რაღა შორს მივდივარ. ჩვენი, ჟურნალისტების, შრომაც ისევე ფასდება დღეს, როგორც ექიმისა, ინჟინრისა, მასწავლებლისა, თუ არ ჩათვლით „მოჭრით“ დანიშნულ ხელფასთან ერთად იმ მცირეოდენ პონორარს, რომელსაც გამოქვეყნებული სტატიებისათვის ან რეპორტაჟებისათვის ვიღებთ. არადა, ვისაც ხაზე სიტყვასთან და კალამთან ჰქონია, დამეთანხმება, რომ ამგვარი შრომა ფიზიკურ შრომაზე ნაკლები ენერგიის გაბარჯვას არ მოითხოვს.

დღეს ბევრს გაკვირვებთ (ძირითადად მაინც ჩვენ ჟურნალისტები) იმაზე, რომ თავისუფალი პრესა ეკონომიკურად იხრჩობა, რომ მას დახმარება სჭირდებაო, მაგრამ განკითხავი არავინ სჩანს, უფრო სწორად მთავრობა ამაზე ყურს არ იბერტყავს, თუმცა, როცა სჭირდება, საჯაროდ აცხადებს, რომ ქვეყანაში თავისუფალი პრესა მართლაც თავისუფალია და ივი მძლავრი ბერკეტია დემოკრატიის განვითარებისო, მაგრამ ის კი ავიწყდებათ, რომ თუ თავისუფალი პრესა დიხრჩო, დემოკრატიაც ჩაყვინთავს.

შეიძლება შემომედავონ, რომ კაპიტალიზმის პირობებში ყველა საკუთარ თავზე ზრუნავს და აქ სახელმწიფო არაფერ შუაშიაო, რაც ერთი შეხედვით მართლაც ასეა, თუმცა ჩვენთან ჯერ კაპიტალიზმის მხოლოდ ჩასახი სჩანს და თუ პრესას სახელმწიფო არ დაეხმარა, [illegible] დიდი დღე არ უწერია.

თვით ბრიტანეთ ელიზაც კი, რომელსაც ზოგჯერ არადემოკრატიულობის გამო უკიჟინებდნენ კიდეც, ჯერ კიდევ შარშანწინ, როცა იქაურ პრესას გაუჭირდა, ყველა გაზეთს, ადგილობრივებსაც კი, ფინანსური დახმარება აღმოუჩინა და ასე ვთქვათ, დაზღვიობის საშუალება არ მისცა.

ჩვენში კი მხოლოდ ორიოდ გაზეთს, რომლებიც ფორმალურად დამოუკიდებელნ არიან, მაგრამ სინამდვილეში ოფიციოზის ორგანოს წარმოადგენენ, ეწევათ სახელმწ[illegible] სოლიდური ფინანსური დახმარება.

საზღვარგარეთ ჟურნალ[illegible] რეფესია ერთ-ერთ პრესტიჟულ პრ[illegible]ესიათაგანია და ჟურნალისტი შრომაც ესაბამისად, დაფასებული გახლავთ. ამის მაგალითად ერთ ამბავს გიამბობთ, რომელიც უფროსი თაობის ჟურნალისტებისგან მსმენია: მელორ სტერეა მოგეხსენე-

დასასრული მე-5 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოხუმჰესზე დატყვევებულთა ნაკვალევზე

გაგრძელება

ბით, რომელსაც რუსულად „პოდსტვოლნიკ“-ს ეძახიან. 12 საათისათავის ჩვენ მხარეს ერთი დაღუპული გელა ირემაშვილი გვყავდა და ოთხი მათ შორის მეც დავიჭერით. მე მარჯვენა ფეხში. 12 საათზე სროლა შეწყდა, დაახლოებით ათი წუთით. დროის ამ მონაკვეთში გამოგვიგზავნეს ორი აფხაზი და ერთი ჩვენი მებრძოლი ილო ჩინჩალაძე. პირკატა გვეცა. აღმოჩნდა რომ საერთო საცხოვრებელში მყოფი ჩვენი ხალხი უკვე აეყვანათ და ისინი გვითვლიდნენ, წინააღმდეგობას აზრი აღარ აქვს და ზედმეტი მსხვერპლის თავიდან აცილების მიზნით თქვენც ჩაბარდითო. საბრძოლო მასალა კიდევ გვქონდა დარჩენილი ასე 2—3 საათის სამყოფი, მაგრამ მერე ან უაზროდ უნდა შევწყვეტოდით მტერს ან მაინც უნდა დავნებებოდით. ჩვენი თხოვნა ცენტრისადმი, რომ დამხმარე ძალა გამოეგზავნა არაფერ შედეგს არ იძლეოდა, არადა სოხუმიდან ჰესამდე სულ 15 კილომეტრია.

ერთი სიტყვით გამოვედით. საცხოვრებელში მყოფი ხალხის ჩაბარება კი იქ ბავშვებისა და ქალების ყოფნამ განაპირობა. სხვათაშორის იქ დაიღუპა ჰესის დირექტორი ცხვარაძეც. გამოვედით გარეთ. ერთად მოგვაგროვეს უშუალოდ ჰესზე და საცხოვრებელში დაპატიმრებულები. ექვსი დაღუპული გვყავდა. მოგვცეს უფლება დაგვეკრძალა ისინი. სხვათა შორის იქვე სხვადასხვა არხებით შევიტყვეთ, რომ მათაც ამდენივე დაღუპული ჰყავდათ. ჩვენი დაჭრილები, ვისაც სიარული არ შეეძლო — გოგი ძებისაშვილი და ლადო ჯავახიშვილი საკაცეებით წავიღეთ, ჰესიდან ხუთი კილომეტრის მოცილებით, სოფელ ორწყალთან ვერტმფრენის დასაჯდომი მოედანი ჰქონდათ. იმ ღამეს ვერტმფრენი არ მოფრინდა, მეორე ღამეს კი მოვიდა, მაგრამ შიგ მხოლოდ ჩვენი ორი დაჭრილი მოათავსეს, დანარჩენი ადგილები მოწინააღმდეგის ჯარისკაცებმა შეავსეს. როგორც შევატყვე იარაღი გაინაწილეს ჩვენი და იმის გამო ცდილობდნენ უკან მალე გაბრუნებას. დანარჩენები პირდაპირ მანქანით წაგვიყვანეს გუდაუთაში, მილიციის შენობაში. იქ იყო ის ჯარისკაცი კილაძეც, რომლის მამა ბატონ ნოდარ გრიგალაშვილს შეხვედრია. ვინც დაგვატყვევა იმათ ცუდი არაფერი არ უკადრებიათ. კილაძე ვერ გეტყვით ამ პარტიაში თუ ბოლოს წინ, მაგრამ გადაცვალეს და ისიც ახლა სახლშია. ჩვენს მეთაურს ზურა მამულაშვილს ბევრჯერ შესთავაზეს გამოსვლა, მაგრამ განაცხადა — მანამ ჩემი უკანასკნელი ჯარისკაცი არ გავა ფეხს არ მოვიცვლიო. მე და ჩიტაშვილი ნოდარი ორ რუსში გადაგვცვალეს, ჩემს შემდეგ კიდევ ექვსი კაცი გაიცვალ ხოლო ბოლოს გამოსული ათ კაცი როგორ გამოიყვანეს ა ვიცი. ტყვედ ექვს ივლის ჩავვარდით, 23 ივლისს გამ ვედი და სოფელ შრომასთა გენერალ ყურაშვილის ქვეგა ნაყოფების ბიჭებს შევხვდ ვიცოდი სადღაც აქ ჩემი 1 წლის ბიჭიც იბრძოდა დ მოვიკითხე. დამიდასტურე რომ იქ იყო, მაგრამ იმ ღამ ვერ ვნახე, მეორე დღეს შევხვდი. დიდხანს მიცქირ მაგრამ ვერ მიცნო, მანამ ა დავეხმაურე. ასე დამთავრდ ეს ჩემი ეპოპეა. მალე ჩემ მეთაური ზურა მამულაშვილ დაბრუნდება და სათქმელი მ რე უფრო მეტი გვექნება.

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გამოვაქვეყნეთ ამა წლის 26-27 მაისს ვლადიკავკასში გამართულ ოსთა მეორე ყრილობაზე ე. წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის „უზენაესი საბჭოს“ თავმჯდომარის პირველი მოადგილის აცამაზ კაბისოვის მოხსენება, რომელიც მთლიანობაში ჯანმრთელი ადამიანის ნააზრევის შთაბეჭდილებას არ სტოვებს, მაგრამ ეს არ უნდა გაგვიკვირდეს. იმპერიის იდეოლოგიური სამსახური ამორჩეულ მსხვერპლს გადარჩენის იოტისოდენა შანსსაც კი არ უტოვებს — ან ამანჭურთებს, ან ასულელებს.

ამ ფსიქიურად აშლილი კაბისოვ-კულუმბეგოვების ნებას უნდა გადაჭყვეს არა მარტო საერთო კავკასიური ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობა, არამედ თვითონ ამ გზააბნეული ხალხის ფიზიკური არსებობაც, რომელსაც განწირული იმპერიის მსახურად გადაუდგია თავი და ამით საკუთარი ბედიც სასწორზე შეუგდია. იმ სასწორზე, რომლის პინაც არასოდეს აღარ გადასწონის იმპერიების სასარგებლოდ.

სამწუხაროდ ამგვარად მოაზროვნე ოსების სიმრავლეში ჩვენცა ვართ დამნაშავე. რომ არა წლების მანძილზე უნიათო, დამთმობლური პოლიტიკა, რომელიც სულაც არ არის მარტო მოსკოვიდან დაწოლის შედეგი, დღეს შეიძლებოდა მოვლენები ამ რეგიონშიც და საერთოდ ცენტრალურ კავკასიაში სხვაგვარად განვითარებულიყო. 70 წითელი წელიწადის მანძილზე უპატრონოდ მიტოვებულ შიდა ქართლს თუ ჩააკითხავდნენ საქართველოს ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენლები, მხოლოდ იმიტომ ოსთათვის რაიმე ახალი ძღვენი მიერთმიათ, ხოლო ქართული ინტელიგენცია სახოტბო ოდების საკითხავად და „სტუმრად ჩამოვედით ოსეთში“ საძახებლად ჩადიოდა. ვაი რომ დღესაც ასეთი პირი უჩანს საქმეს, ასე უნდა გაგრძელდეს საქართველოს ხერხემალში საბოლოოდ გადასამტვრევად.

„ხუსრეთ ოსეთის უკანასკნელი წლების ისტორია, ისევე როგორც ოსი ხალხის ისტორია“ (ასე იწყებს თავის გამოსვლას კაბისოვი და ჩვენც ასე დავიწყოთ) აღსავსეა სისხლიან-ღალატიანი ფაქტებით არამარტო ქართველების, არამედ საერთოდ ყველა მეზობელი ხალხის მიმართ. აქეთ ჩვენ გვედავებიან ჩვენი მიწის ყველაზე ნუგბარ ნაჭერს, იქით ვაინახებს უეჭველად დედაწულს დიდი ქომაგის მხარდაჭერით გადიდგულებული და ყაბარდოელებთან სადაო სამანებსაც უბღვერიან.

დღიდან ბოლშევიკების მიერ ავტონომიური ოლქის დაარსებისა იგი საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტის დოტაციაზე იჯდა და უკანასკნელი წლების მანძილზე რომ არა რესპუბლიკის ბანკებიდან მიშველებული თანხები მუშა-მოსამსახურეებზე ხელფასის გასაცემი ფულიც კი არ გროვდებოდა ადგილობრივი საწარმოო-დაწესებულებების შემოსავლიდან. თავის დროზე ვისმეს რომ ეზრუნა და ამ ხალხისათვის პერიოდულად შეეხსენებინა მათი ასეთი მათხოვრული მდგომარეობა, დღეს კაბისოვის მიერ საკუთარ ფინანსურ შესაძლებლობებზე ჰონორით ლაპარაკს ცოტა ოსი დაიჯერებდა.

მაგრამ ეს ყველაფერი ეკონომიკის, მატერიალური რესურსების სფეროა, რომელიც ხალხმა უნდა შექმნას თავისი სულიერი ძალების დაძაბვით, თავისი კულტურის, ეროვნული ნების მობილიზაციის საშუალებით. მათდა საუბედუროდ საქართველოს ჩრდილოეთში მცხოვრებ ხალხს ეს აღარ ძალუძს, რადგან იმპერიმ ქართველის ოსისათვის შეძულებაზე კი იზრუნა, მაგრამ იმარე აღარ უზრუნია საკუთარი ფესვები ეძებნათ იქნებ ეს ჩვენთვისაც უკეთესი ყოფილიყო. გიორგი ახვლედიანის მიერ ჯოჯოხეთური შრომის ფასად დამუშავებული ოსური ენის გრამატიკის სახელმძღვანელოს შემდეგ ამ დარგის ოსურ ლიტერატურას არაფერი ღირებული არ შემატებია. ოსი „მეცნიერები“ მოსკოვში წანწალს და ქართველებზე საჩივრების წერას უნდებოდნენ, იმის მაგივრად რომ ოსური პოეზიის ანთოლოგიის გამოცემაზე ეზრუნათ, რომელიც ათეული წლების მანძილზე იმტვერებოდა გამომცემლობის თაროებზე. „რუსკოე სლოვო“ არის დაწყებითი კლასების ოსური ენის სახელმძღვანელოს საუუკეელი და რა უნდა მიიღოს საკუთარი წიაღისა ასეთ უაცრავად პასუხია და დედაენაზე აღზრდილმა ბავშვმა, რა სულიერი საზრდო. ეს ყველაფერი შეგნებულად კეთდებოდა, რათა ამ ხალხს საკუთარი დავიწყებოდა, მეზობელ— მოამაგის კულტურა არ შეეთვისებინა და იმ იდეებზე აღზრდილიყო, რომელიც იმპერიის იდეოლოგებს აწყობდათ. ამას ყველაფერს ხელს უწყობდნენ სწორედ ისინი, ვინც დღეს თხის ტყავი გადაიძრო, ნამდვილი სახე გამოაჩინა და ლამის ეროვნულ გმირებად არიან შერაცხულნი თავიანთი ხალხის მიერ. ერთ-ერთი მათგანია ყველასათვის კარგად ცნობილი ნაფი ჯუსოითი, რომელიც ჯერ კიდევ 1972 წელს საოლქო საბჭოს აღმასკომის ერთ-ერთ სესიაზე კატეგორიულად ითხოვდა ქართველებს აკრძალვოდათ თავიანთი შვილების რუსულ სკოლაში მიყვანა. იმის მაგივრად განგაში აეტეხა, ქალაქში არცერთი ოსური სკოლა არ გვაქვს, ჩვენი შვილები საკუთარ ენაზე ველარ კითხულობენ თორემ წერას ვინ ჩივის და არიქა ხელი გამოვიღოთო. დღეს ეს კაცი ოსური სეპარატიზმის იდეოლოგია და ერის მამად ითვლება. ისე მაშინ თავისდაუნებურად იგი ქართველების წისქვილზე ასხავდა წყალს და ნეტავ ზოგიერთ ქართველს ყურად ელო მისი „რჩევა“ ბევრით მეტი ქართველი გვეყოლებოდა ცხინვალში. ეს ბოლო ლაშქრობაც ნაფი ჯუსოითის სულიერმა შვილებმა საკუთარი ერის სახელწოდო ენად გამოცხადების მოთხოვნით (ქართული უნისსახელმწიფო პროგრამის წაბაძვით) დაიწყეს. შიგა და შიგ კომუნისტური ლოზუნგებით რომ იყო შემაგრებული. მაგრამ როგორც კი ამ ქალაქში, სადაც მათი თქმით დისკრიმინაციას გ ადგენდნენ მარტო ოსურ ენა, არც ოსური სკოლა. უბრალო მიზეზის გამო — ერმა დაკარგა თავისი ენისადმი, კულტურისადმი მოთხოვნილება. ერთადერთი რაც მათ არ დაუკარგავთ და როგორც კი საშუალება მიეცათ აისრულეს, სრულად გაამჟღავნეს, ეს იყო სიძულვილი ქართველებისა, და ყოველივე ქართულისადმი. სწორედ ამის გამო იყო, რომ ბოლო ორი წლის მანძილზე თუ რამე შექმნეს ცხინვალში ეს შეიარაღებული ძალებია, საშუნაროდ ისიც კვლავ ჩვენი დათმობის, დგომისის 1992 წლის 24 ივნისის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების ნიადაგზე. ჩვენი სამხედროები, უხვად რომ აყრიათ სამხრეებზე ვარსკვლავები, ქართულ შეიარაღებულ ძალებში ვერ მოძებნიან ისე გაწვრთნილ, ორგანიზებულ, შეჭურვილ ქვეგანაყოფს როგორც დღეს ოსებს ჰყავთ. ეს ათამამებთ კაბისოვებს და აბრმავებს ხალხს, რომელსაც ამ ავაზეკებისა სჯერათ და არ სჯერათ საბედნიეროდ მათ შორის კანტიკუნტად შემორჩენილი სალად მოაზროვნე ადამიანებისა.

ოს მეცნიერ ვასო აბაევს, რომელმაც ქართველებს ამაგი არ დაუწიხლა და ამით საკუთარი ხალხის სულიერი გადარჩენის გარანტად დარჩა, ერთ-ერთ თავის შრომაში უარყოფითი დამოკიდებულება აქვს გამოთქმული სამხრეთელ ოსთა ავტონომიის მიმართ. მიაჩნია იგი გამუდმებული სისხლისღვრის მიზეზად, რადგან კარგად იცის რომ მისი თანამემამულენი სწორედ ავტონომიური ტრამპლინიდან აპირებენ კავკასიონზე გადახტომას, უფრო სწორად მის ფეხქვეშ ამოჩრას. რომ არა ზემოთხსენებული დათმობები, რომელიც ჯერ-ჯერობით დაგომისით დასრულდა (დასრულდა კი?) დღეს „მოხსენების“ ავტორებს და მათ მიმდევრებს საგრძნობლად დაბალი რეიტინგი ექნებათ, ხოლო ვასო აბაევს, რომელიც ჯერ კიდევ 1989 წლ ზაფხულში აფრთხილებდა ოსებს ან თემას არ გადასცემდნენ.

„მოხსენებაში“ ბევრი იხეთ რამ არის ნათქვამი, რაზეც ეუ რადღების შეჩერება არ ღირს მათი წრეგადასული სისულელ გამო. მაგალითად, „აზრები“ ერ თიან ეროვნულ სხეულზე, რომ ლიც თურმე ქართველმა სტალ ნმა, ორჯონიკიძემ, ბერიამ გათ შეს. სხვათა შორის, როცა სტ ლინის და ორჯონოკიძის აზრ ფასი ჰქონდათ ვლადიკავკასს ორ ჯონოკიძე ერქვა, ხოლო ცხინ ვალს სტალინირი (სტალინ, ირ ონ); უკვე ჩატარებულ და ჩასა ტარებელ რეფერენდუმზე და მრ ვალი კიდევ სხვა. პასუხში კ შეძლებისდაგვარად აქცენტი იმ ზე გადავიტანეთ თუ რა იოლ ფესვებს მოწყვეტილი, უკვე სუ როგატად გადაქცეული ერის და ღუპვა. მაგრამ გვინდა კი ჩვ ამ ხალხის დაღუპვა? არა და არ მიუხედავად იმ უდიდესი ცოდვ სა, რაც მათ იდეს კისერზ ნებისმიერი ქართველი უნდა ცდ ლობდეს ამ ხალხს ჯერ თვალ ბის ახელაში მიეხმაროს, მერე კ გზის სწორად გაგნებაში. ყველ ფერი რომ გვერდზე „გადავდ ოსური სახელმწიფო თავის ისტ რიულ მიწა-წყალზე უნდა გახდ იმ სანიტარული კორდონის ჯა ვის ერთი რგოლი, რომელ ჩვენსა და ჩვენს მარად „კეთილ მოსურნე“ დიდ სახელმწიფოს შ რის უნდა გაიჭიმოს. სწორ აქეთკენ უნდა იყოს ჩვენი ძალ სხმევა მიმართული და არა დამ ლუპველი დათმობებისაკენ, რასაც განსაკუთრებით საქართველ დღევანდელი ხელისუფლება ეწ ევა. ოსს უნდა დავანახოთ რ მოუტანა მას იმპერიის ერთგულ ბამ, რას მოუტანს კავკასიელ ხალხებისათვის ზურგში ჩაცემ ული მახვილი და მერე თუ საკუთარ ნებით არ ისურვებს იმ გზ სიარულს რაც კავკასიის ინტერ სებს, საქართველოს სახელმწიფ ინტერესებს შეესაბამება „წინ წყალ უკან მეწყერი“ ფერადობისათვის ა პრაგმატულ საუკუნეში დრო აღარ რჩება, ისედაც იმდენი თამასუქი დ ვეწერილი აქვთ წალებული გაუნადგ ბლად ნებისმიერ სახელმწიფოში ნ ბისმიერი ერი რომ ვერ დაიტრაბ ხებს.

მ. ცხინვალელი

წინ წყალი — უკან მეწყერი

ჩვენი პუბლიკაციის-«კაცს ძალით აგიჟებენ, თითქოს გიჟების დეფიციტი გვქონდეს» კვალდაკვალ

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გამოვაქვეყნეთ სტატია სათაურით — „კაცს ძალით აგიჟებენ, თითქოს გიჟების დეფიციტი გვქონდეს“, რომელიც ეძღვნებოდა ქალაქ რუსთავის მცხოვრების პაატა კახიანის მონათხრობს და რადგან ჩათვალეთ, რომ საჭირო იყო სტატიის სასწრაფოდ გამოქვეყნება, მაშინ ვერ მოვახერხეთ ინფორმაციის მიღება რუსთავის შინაგან საქმეთა განყოფილებიდან და თბილისში ასათიანის ქუჩაზე მდებარე ფსიქიატრიული საავადმყოფოდან. სამწუხაროდ, პუბლიკაციის შემდეგ აღნიშნულ დაწესებულებებს ამ საკითხთან დაკავშირებით რაიმე განმარტება არ მოუწვდიათ. ამიტომ, ობიექტური სურათის შესაქმნელად ვეწვიეთ რუსთავის შინაგან საქმეთა განყოფილებას და ვესაუბრეთ გამომძიებელ ალიკ გვარაძეს. მან თქვა, რომ პაატა კახიანი ამჟამად იმყოფება თბილისის №1 საგამომძიებლო იზოლიატორში. მის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის სამე საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 228-ე მუხლის იმ ნაწილით — (ხულიგნობა), რისი საფუძველიც შეიქნა რუსთავის მესამე რუსული საშუალო სკოლის ერთ-ერთი თანამშრომლის საჩივარი, რომლის საწინააღმდეგოდაც საჩივარი რუსთავის შინაგან საქმეთა განყოფილებაში შეტანილი ჰქონდა თავად პაატა კახიანსაც. საქმე მოუკვლევია უბნის ინსპექტორს, რის შემდეგაც ერთი მომჩივანი დააპატიმრეს, მეორე კი, რომელიც გაგრის მცხოვრებია და აფხაზეთის ამბების გამო რუსთავის მესამე სკოლაში მუშაობდა, გამომძიებლის თქმით, აფხაზეთში გაემგზავრა. გამომძიებელმა განაცხადა, რომ მესამე რუსული საშუალო სკოლის საფინანსო საკითხებს იკვლევს შესაბამისი სამსახური. თქვა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან კანონი არ დარღვეულა და შეუძლებელია კახიანის მიმართ მათ რაიმე ბოროტი განზრახვა ჰქონოდათ.

აქვე, საჭიროდ მიმაჩნია, გადმოგცეთ ბატონი გვარაძეს მიერ მონაყოლი ერთი ფაქტი: სპეციალური ტრანსპორტის ნაკლებობის გამო ფსიქიატრიულ საავადმყოფომდე მას კახიანი მეტროთი წაუყვანია. გამომძიებლის თქმით კახიანმა გზაში მოქალაქეების მისამართით მოწოდებებს მიმართა და უწესრიგობა გამოიწვია. მეტრო სადგურ დელისთან მათთან მისულან გვარდიელები, რომლებსაც დალუპული მეომრების სურათები ეკეთათ. გამომძიებელს მათთვის უთქვამს, რომ კახიანმა აფხაზეთიდან ლტოლვილ ქალს სცემაო, რის შემდეგაც გვარდიელებს კახიანი სასტიკად უცემიათ.

— ძლივს გამოვგლიჯე ხელიდან, — თქვა გამომძიებელმა.

ალბათ, როცა ბატონი გვარაძე ამბობდა, კახიანის მიმართ სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან კანონი არ დარღვეულაო, ამ ფაქტსაც არ გულისხმობდა.

მოკლედ, აღძრულ საქმეზე სიტყვა მართლმსაჯულებას ეკუთვნის და ჩვენ სხვა ფაქტების მოტანისაგან თავს შევიკავებთ.

ფსიქიატრიულ საავადმყოფოში შევხვდით საავადმყოფოს მთავარ ექიმს ბატონ აბელ მამარდაშვილს. მან პასუხის გასაცემად სელექტორით მოიოხოვა პაატა კახიანის ავადმყოფობის ისტორია. იგი დაავადებული ყოფილა ეპილეფსიით. კითხვას, რატომ უნდა აღმოჩენილიყო ეპილეფსიით დაავადებული ადამიანი ფსიქიატრიულ საავადყოფოში აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, ბატონმა აბელმა უპასუხა, რომ პაატა კახიანს ახასიათებს აგრესიული მოქმედებები და მილიციას აქვს უფლება ასეთ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მიიყვანოს. თუმცა ბატონი აბელისათვის უცნობი იყო კახიანის მიერ ჩადენილი აგრესიული მოქმედებები. მან აგრეთვე კატეგორიულად უარყო საავადმყოფოში გასულ წელს მისი წამების ფაქტები. (უნდა აღინიშნოს, პაატა კახიანთან ერთად მისი დედაც ამტკიცებს, რომ საავადმყოფოდან გასვლის შემდეგ კახიანს ერთი კვირის მანძილზე ეტყობოდა ყელზე თოკის ნაჭდევი, რომ დედის თანდასწრებითაც ფიზიკური ზემოქმედებით აიძულებდა სანიტარი კახიანს გადაეყლაპა რაღაც „აბები.). თუმცა ბატონმა აბელმა ყოველივე უარყო.

— თქვენ თვითონ შეგიძლიათ შეხვიდეთ და დარწმუნდეთ რა მდგომარეობაში იმყოფებიან ჩვენთან ავადმყოფები, — თქვა მან.

— ე.ი., მე შემიძლია დავათვალიერო?.. — ვკითხე მე.

— არა, — თქვა მან, — ამისთვის საჭიროა სპეციალური ნებართვა.

ბატონი აბელის თქმით, კომისიას, რომელმაც ამბულატორიული ექსპერტიზა ჩაუტარა კახიანს, საბოლოო დასკვნა არ გამოუტანია. კომისიის გადწყვეტილებით დასკვნისათვის საჭიროა კახიანის ერთთვიანი სტაციონარული გამოკვლევის ჩატარება ფსიქიატრიულ საავადმყოფოში.

— ეს თავად კახიანისთვის იქნება სასარგებლო, — განაცხადა ბატონმა აბელ მამარდაშვილმა.— შეურაცხადს არ გაასამართლებენ.

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნებული კახიანის მონათხრობის შემდეგ ვალდებული ვიყავით მოგვეწოდებინა რუსთავის შინაგან საქმეთა განყოფილებისა და თბილისის ფსიქიატრიული საავადმყოფოს განმარტებები.

ვახტანგ კომახიძე

რედაქტორისაგან: პაატა კახიანს მეც დიდხანს ვესაუბრე. ჩემი შთაბეჭდილებით იგი სავსებით ნორმალური, არა თუ მხოლოდ საღი ჭკუის, ერთობ ჭკვიანი და პატიოსანი ახალგაზრდაა. მისი მონათხრობის გამოქვეყნების შემდეგ, გვეგონა მის გასაჭირს რუსთაველები გულთან მიიტანდნენ. ეს ჩვენი „სამართალდამცავები“ კი ადგნენ და მარტივად გადაწყვიტეს საკითხი — გათოკეს...

მომჩივანი, რომელიც ორმხრივი ჩხუბის დროს გარტყა-მისთვის ჩვის თურმე მილიციელთა თქმით გაგრაში წასულა... კახიანი კი დაპატიმრებული ჰყავთ... (ღმერთმა იცის როდის ჩამოვა მომჩივანი და როდის დაუპირისპირებენ ერთმანეთს).

კარგია როცა ერთი ალიყურისათვისაც კი კაცს იჭერენ, თუმცა ცუდია, როცა პატრონიანი მკვლელები დაუსჯელად გარეთ დანავარდობენ...

ასე მაგალითად. ამას წინათ მოქალაქე მეწვია, რომელმაც განაცხადა ადგილი, დრო, როცა ახალგაზრდამ ახალგაზრდა მოკლა. დაასახელა მკვლელის ვინაობა და აღნიშნა, ეს ამბავი ვაუწყე ქალაქის მილიციის სამმართველოს, მკვლელი ჩემი მეზობელია და თითქმის ერთი წლის განმავლობაში დაკითხვაზეც კი არ წაუყვანიათო. მკვლელობა, რომლის შემსწრე არსებობს და ყველაფერს დაწვრილებით ყვება, გაუხსნელია...

უპატრონო კახიანს კი ციხე, ან უკეთეს შემთხვევაში საგიჟეთი... ადამიანის ბედზე თამაში არ შეიძლება, გაიგეთ, ბატონებო!

ვინ ანგრევს ეკონომიკას?

ამ რამდენიმე ხნის წინათ ჩვენს გაზეთში გამოვაქვეყნე წერილი, რომელშიც შეეცადე გამეანალიზებინა კუპონის შემოღებასთან დაკავშირებული საკითხები და კერძოდ, ოფიციალური ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების მუშაობა პირველი ეროვნული ფულის (სუროგატის) განმტკიცებისათვის და ასეთი სამწუხარო დასკვნაც გამოვიტანე: ქვეყანაში ხელისუფლების არცერთი ორგანო, ვისაც ეს ევალება, არ ზრუნავს კუპონის განმტკიცებისათვის და პირიქით კი ხდება — მეთქი.

ჩვენდა სამწუხაროდ, დღეს, როცა კუპონის კურსი მანეთთან მიმართებაში უკვე ათი ერთთან და უფრო მეტიც გახლდათ (ათი კუპონი — ერთი მანეთი) და აშკარად გამოიხატა იმისი კონტურები, რომ კუპონის დევალვაცია კიდევ უფრო სწრაფი ტემპებით განვითარდეს, ხელისუფლების ორგანოები კვლავ უმოქმედობას არჩევენ და ფასების რეგულირებაც და კუპონის კურსის განსაზღვრაც მთლიანად შავ ბაზარს და ე.წ. გადამცველელ ჯიხურებს მიანდეს.

თუმცა, უმოქმედობას ვინ ჩივის, როცა პირიქით, ცეცხლზე ნავთსაც ასხამენ ხოლმე. სწორედ ნავთის დასწმა გახლდათ ამასწინანდელი ნაბიჯი მინისტრთა კაბინეტისა, რომელმაც მოსახლეობის კეთილდღეობაზე ზრუნვის საბაბით ხელფასები ასი პროცენტით გაზარდა, მაგრამ მოსალოდნელი შედეგები ვერ (არ) გაითვალა და რომლის დამლუპველი შედეგებიც დღეს უკვე სახეზე გვაქვს. მიმოქცევაში 50 მილიარდი კუპონის შემოღებამ კიდევ უფრო გაამძაფრა სიტუაცია, გაამყარა მანეთი და ხელფასების მომატებით ვითომდაც დაიმედებულ მშრომელ კაცს ყელში კიდევ უფრო გამეტებით წაუჭირა ყულფი.

ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ვიღაც შეგნებულად ანგრევს ჩვენს ეკონომიკას, ვიღაცას სურს, რომ სიღატაკის უფანასკნელ ზღვრამდე მიგვიყვანოს და ბოლოს, როცა სულის ამოძრობამდე მივა საქმე, ყელგამოწეულებმა შეეხვეწოთ რომელიმე მეზობელს, მიშველე და სამუდამოდ გემონებიო.

მავანნი და შავანნი დღევანდელ ჩვენს სამარცხვინო მდგომარეობასაც კი მოუძებნიან მათი აზრით ობიექტურ ახსნას და იმპერიის რღვევის შედეგებს, ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან ურთიერთობების (ეკონომიკური კავშირების) გაწყვეტას, ქვეყნის შიგნით გამეფებულ ქაოსს მოიშველიებენ საბუთად და ერთი შეხედვით მართალიც იქნებიან, მაგრამ იმაზე კი ხმას არ ამოიღებენ, რომ ამ მდგომარეობამდე დღევანდელმა ხელისუფლებმა ნებით თუ უნებლიეთ, მოგვიყვანეს და ყველაზე საკვალო ის არის, რომ არც უკეთესი მომავლის პერსპექტივა ჩანს სადმე.

ყველას გვახსოვს ამ რამდენიმე ხნის წინათ პარლამენტში გამართული ცხარე დისკუსიები ბანკიდან კრედიტების გაცემის თაობაზე და ისიც კარგად ვიცით, რომ შეიქმნა საპარლამენტო კომისია ამ კრედიტების გაცემის მიზანშეწონილობისა და მათი მიზანმიმართული გამოყენების შესწავლის მიზნით. მე არ ვიცი, რას იძიებს კომისია და ეს ჩემი, რიგითი მოქალაქის, კომპეტენცია არ გახლავთ, მაგრამ ის კი ვიცი, რომ, როგორც ხალხში ამბობენ (ხალხში ნათქვამი კი ნახევარი მაინც სიმართლეა) კრედიტები კვლავაც ძველებურად გამოაქვთ და არც მისი გახარჯვის კონტროლზე იკლავს ვინმე თავსო.

დღეს ჩვენში ბევრს ლაპარაკობენ საბანკო სისტემაზე და მის როლზე ქვეყნის ეკონომიკის განვითარების თავისუფალ საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების საქმეში და ამ შემთხვევაში ბანკის როლის იგნორირება არც შეიძლება. უბრალოდ, ფრიად საეჭვოა, რომ დღეს ჩვენში არსებული საბანკო სისტემა, თავისი ბიუროკრატიული აპარატით და სოციალისტური რეჟიმის დროინდელი სტრუქტურით ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საქმეს სასიკეთოდ წაადგეს. მეტიც, უფრო პირიქით კი შეიძლება მოხდეს. ე. წ. ფულის გაცოცხლების, გადარიცხვებში არსებული მაქინაციების და სხვა უამრავი, ბიზნესმენთათვის, და მეწარმეთათვის სულისშემხუთავი, კანონიერი (ანუ ნებადართული) მაგრამ თავისი არსით წმინდა კომუნისტურ-ბიუროკრატიული ოპერაციებით, საქმეში ჩახედული ადამიანების მტკიცებით, სხვებთან ერად სწორედ ბანკი ანგრევს ჩვენს ეკონომიკას და წარმოშობს იმ სიმახინჯეებს, დღევანდელ ეკონომიკაში რომ აქვს ფესვი გადგმული და ქვეყანას უფსკრულისაკენ მიაქანებს.

სოციოლოგების დაანგარიშებით, დღეს ჩვენში ადამიანის სასიცოცხლო მინიმუმი, თუ არ ვცდები 185 ათასი კუპონი უნდა ი ყოს, საშუალო ხელფასი კი საღღაც 14 და 20 ათასს შორის მერყეობს და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ინფლაცია ყოველდღე ღრმავდება და მანეთსა და კუპონს შორის არსებული სხვაობა დღითიდღე იზრდება, შესაბამისად კი ფასებიც მატულობს, ადვილად შეიძლება დავასკვნათ, რომ ქვეყნის მოსახლეობის 80 პროცენტზე მეტი უკვე სიღატაკის ზღვარზეა და ხვალ და ზეგ ამ ზღვარსაც გასცდება.

ცალკე პრობლემაა უმუშევართათვის სოციალური დახმარების გაწევისა და შემდგომში მათი გადამზადებისა და დასაქმების პრობლემა, თუმცა მანამდე უმუშევართა აღრიცხვის საკითხებია მოსაგვარებელი, რადგან დღეისათვის მათი ზუსტი რაოდენობა არცაა ცნობილი.

ყველაფერი ეს კი საერთო ეკონომიკური ვითარების ფონზე ქმნის იმის რეალურ საშიშროებას, რომ თუ კვლავაც ამ ტემპებით გაგრძელდება ქვეყნის ეკონომიკური დაცემა, მოხდება სოციალური აფეთქება, რომელიც ყველა რევოლუციაზე და აჯანყებაზე უარესია და რომელიც წალეკავს ყველაფერს და ყოველივეს.

ეს რომ არ მოხდეს, ხელისუფლება ვალდებულია ხელში აიღოს ქვეყნის მართვის სადაგეები. და მოაგვაროს აღნიშნული პრობლემები და თუ არ შეუძლია ეს, ისიც გვითხრას.

სერგო ჯანაშია

საბაზრო ეკონომიკას — ეკონომისტი ჟურნალისტები

დღეს, როდესაც საქართველო დაადგა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გრძელ და რთულ გზას, მრავალი პრობლემის გადაწყვეტა უხდება პირველად, ახლებურად. ამ პრობლემათა შორის ერთ-ერთ მთავარ და ძნელად გადასალახავ პრობლემად გვეჩვენება მოსახლეობისათვის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობისათვის საბაზრო ეკონომიკის, საბაზრო სამეურნეო მექანიზმის და მასთან დაკავშირებული თეორიული და პრაქტიკული ასპექტების შესწავლა. თუ განვითარებული საბაზრო მეურნეობის ქვეყნებში საბაზრო ეკონომიკის პირობებში ცხოვრებისათვის აღზრდა თითქმის დაბადებიდანვე იწყება და ეს ბუნებრივ მოვლენად ითვლება, ჩვენთან მრავალი სუბიექტური და ობიექტური მიზეზების გამო ასე არ ხდება, უფრო მეტიც, ხელოვნურად გამოგონილი იდეოლოგიური შეუთავსებლობის გამო ათწლეულების მანძილზე ჩვენს ახალგაზრდობას ვუმალავდით კიდეც საბაზრო ეკონომიკის არსებობას, საერთოდ ბაზრის, საქონლის და მასთან დაკავშირებული სასაქონლო ფულადი ურთიერთობის არსებობას. ჩვენი არასრულყოფილი, პრაქტიკული ცხოვრებისათვის გამოუსადეგი განათლების სისტემის წყალობით დღესაც კი ახალგაზრდობა ისე ამთავრებს ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლას, რომ ეკონომიკაზე საერთოდ და საბაზრო ეკოლნომიკაზე, კერძოდ, არავინ არაფერს აგებინებს და, მაშასადამე, არავითარი წარმოდგენა არა აქვს მასზე. ასევე მანკიერი პრაქტიკა იყო გამეფებული ცხოვრებაშიც. მოსახლეობამდე ინფორმაციის ყველა საშუალებით მიგვქონდა სრულიად დაუსაბუთებელი დებულებები იმის შესახებ, რომ რაც დაკავშირებულია ბაზართან, საბაზრო მეურნეობასთან, ყველაფერი ცუდია და მიუღებელი, შეუფერებელი სოციალიზმის მშენებელი ადამიანისათვის. რამდენი ადამიანის შრომა და ენერგია, რამდენი ქაღალდი და სხვა მატერიალური თუ ფულადი საშუალება დაიხარჯა, რამდენი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა იმის მტკიცებას, რომ სოციალიზმი და სასაქონლო მეურნეობა შეუთავსებელია ერთიმეორესთან. თუ ვინმე გარკვეულ კომპრომისზე წავიდოდა, მხოლოდ იმ ზომამდე იყო დასაშვები, რომ ემტკიცებინა — სოციალიზმის დროს სასაქონლო ფულად ურთიერთობას შეზღუდული ხასიათი აქვსო...

ეს ყველაფერი წარსულია და ახლა ხვალინდელ დღეზე უნდა ვიფიქროთ. მაგრამ, სამწუხაროდ, დღევანდელ დღეს მეორე უკიდურესობამდე მივყავართ (და ეს ხვალინდელი დღისათვის უფრო ცუდია) — საბაზრო მეურნეობას, საბაზრო სამეურნეო მექანიზმს სასწაულებრივ თვისებებს მივაწერთ და გვავიწყდება, რომ საბაზრო მეურნეობაზე გადასვლა ჩვენს ქვეყანაში (და სხვაგანაც) ეკონომიკური რეფორმის ძირითადი მიზანი კი არა, ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთი საშუალებაა, გვავიწყდება, რომ საბაზრო მეურნეობა პანაცეა არ არის. ხშირ შემთხვევაში ყველაფერი ეს ხდება დილეტანტურ დონეზე არაპროფესიონალების და მედროვეების მიერ. დღეს ბევრი გამოჩნდა, რომელთა შემეცნებითი საზღვარი საბაზრო მეურნეობის შესახებ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ბაზარზე თათრის ქალისაგან წიწმატის ყიდვის ურთიერთობას რომ ვერ გასცილებია და სადაც კი მიუწვდება ხმა თუ ხელი, საბაზრო მეურნეობის სასწაულებრივ თვისებებზე ღაღადებს, სხვას ასწავლის და სხვას უწერს მოხსენებებს მის შესახებ. მეორეს მხრივ, გვყავს ხალხი, რომელსაც მთელი თავისი საქმიანობის ძირითად თემად საბაზრო მეურნეობაზე ლაპარაკი გაუხდია, ფაქტიურად კი არაფერს აკეთებს მასზე გადასასვლელად, პირიქით, სხვებსაც კი ხელს უშლის.

საბაზრო მეურნეობის პრობლემის შესწავლის საქმეში არასახარბიელო მდგომარეობა გვაქვს საშუალო-სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებშიც. ამ ბოლო ორი წლის განმავლობაში შეინიშნება გარკვეული ძვრები, არის ცალკეული ინიციატივები და პრაქტიკული ქმედებები. ეკონომიკური პროფილის უმაღლეს სასწავლებლებში შემოღებული იქნა ზოგიერთი საგნის წაკითხვა, რომელიც მიმართულია საბაზრო მეურნეობისათვის დამახასიათებელი თეორიული და პრაქტიკული პრობლემების შესწავლისაკენ, მაგრამ ეს ყველაფერი დასაწყისია და თანაც არასაკმარისი. შეიძლება თამამი განცხადება იყოს, მაგრამ გვეჩვენება, რომ დღეს საქართველოში, ისევე, როგორც არა გვაქვს საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლის ერთიანი დამუშავებული, სპეციალისტებისა და მოსახლეობის მიერ განხილული და მოწონებული პროგრამა, ასევე არა გვაქვს საბაზრო ეკონომიკის თეორიული და პრაქტიკული პრობლემების ფართო სპექტრის შესწავლის ერთიანი კონცეფცია, პროგრამა.

ჩვენი აზრით, უკვე დიდი ხანია რაც დადგა იმის აუცილებლობა, რომ საქართველო საშუალო, საშუალო-სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში, მოსახლეობაში თავისი კუთვნილი ადგილი დაიკავოს საბაზრო ურთიერთობის, საბაზრო სამეურნეო მექანიზმის პრობლემების შესწავლამ. რატომ არ შეიძლება მარტივი, გასაგები ენით ვასწავლოთ ეს საკითხები სკოლებში, რატომ არ შეიძლება სწარმოებში, დაწესებულებებში, ფერმებში და სხვაგან ჩამოვაყალიბოთ ამ პრობლემების შემსწავლელი სემინარები, სკოლები? მაგალითისათვის უნდა მოვიყვანოთ გორის №1 საკონსერვო ქარხნის დირექციის კარგი წამოწყება, სადაც ასეთი სემინარების ჩატარებას დაედო სათავე და ვფიქრობთ ცუდად არ მიმდინარეობს მუშაობა.

თუ გვინდა, რომ ჩვენი ეკონომიკის განვითარების დონით რაც შეიძლება მალე ამოვუდგეთ გვერდში მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებს, ასეთი სწავლება დღესვე უნდა დავიწყოთ, თუნდაც, რაც შეიძლება მაღალი ტემპებით. მართალია, დაგვიანებულია, მაგრამ თანმიმდევრული, ორგანიზებული და გააზრებული მუშაობით შესაძლებელია დაკარგული დროის მოკლე პერიოდში ანაზღაურება.

ზემოთ აღნიშნული და სხვა პრობლემების შოგვარების ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად მიგვაჩნია საბაზრო ეკონომიკის თეორიისა და პრაქტიკის ცოდნით აღჭურვილი უმაღლესი კვალიფიკაციის ეკონომისტ-ჟურნალისტი სპეციალისტების მომზადება.

ჩვენ არ შევუდგებით კონკრეტული ფაქტების ჩამოთვლას, რომლებიც დაგვისაბუთებდა თუ რაოდენ საჭირო და აუცილებელია ღრმა ეკონომიკური ცოდნა ჟურნალისტისათვის, რომელიც ქვეყნის საშინაო თუ საერთაშორისო ეკონომიკურ საკითხებზე მუშაობს. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ეკონომიკური დარგის ჟურნალისტიკამ თავისი კუთვნილი ადგილი უნდა დაიკავოს მომავალ საქართველოში საბაზრო ურთიერთობის ჩამოყალიბებასა და განვითარებაგანმტკიცების საქმეში. ვფიქრობ, საწყენად არავის დარჩება თუ ვიტყვი, რომ ჩვენს მომავალ ჟურნალისტებს ეკონომიკურ საკითხებს, კერძოდ კი საბაზრო ეკონომიკის საკითხებს არ ვასწავლით. გადახედეთ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დღევანდელ სასწავლო გეგმებს და ნათლად დარწმუკნდებით მასში. მთელი ხუთწლიანი მოცულობის სასწავლო პროგრამაში ეკონომიკური პროფილის მხოლოდ ერთი საგანი (ეკონომიკური თეორიის საფუძვლები) იკითხება, შედეგებს კი ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით. ის, რომ ტელეჟურნალისტი იურიდიულ კანონს საკუთრების შესახებ ძირითადად ეკონომიკურ კანონს უწოდებს და ინტერვიუერისაგან უფლებას იტოვებს, როდესაც პარლამენტში მიღებული იქნება სხვა ეკონომიკური კანონები, კიდევ შეხვდებიან („ალიონი" 18.06.93 წ.), აღნიშნულის პირდაპირი შედეგია: ეკონომიკურ კანონებს ხელისუფლება არ ღებულობს და ვერც მიიღებს. განსაკუთრებით გამოვლინებას პოულობს ეს მდგომარეობა რაიონულ პრესაში, რადიო და ტელეგადაცემებში.

ერთი საკითხიც, საბაზრო ურთიერთობის, საბაზრო სამეურნეო მექანიზმის პრობლემების შესწავლის საქმეში უდიდესი როლი მიეკუთვნება საზღვარგარეთის განვითარებული ქვეყნების სამეცნიერო და სამეცნიერო-ეკონომიკური ლიტერატურის ცოდნას. მაგრამ, სამწუხაროა, საქართველოში, თანამედროვე გლობალური კრიზისის პირობებში, განსაკუთრებით იგრძნობა მშობლიურ ენაზე საზღვარგარეთის სამეცნიერო ლიტერატურის საერთოდ და კერძოდ, სამეცნიერო-ეკონომიკური ლიტერატურის კრიზისი. დღემდე მიჩვეული ვიყავით, რომ საზღვარგარეთის ლიტერატურა რუსეთის მეშვეობით უნდა შემოსულიყო ჩვენში, ჯერ უნდა თარგმნილიყო რუსულ ენაზე და მერე რუსულ ენაზევე გავრცელებულიყო ჩვენშიც. საქართველოში ხომ საზღვარგარეთული ეკონომიკური ლიტერატურის თარგმნა ქართულ ენაზე თითქმის არ მიმდინარეობდა,, მისი თარგმნა თუნდაც რუსულიდან ზედმეტ შრომად ითვლებოდა. ამან, რა თქმა უნდა, უდიდესი ზიანი მიაყენა ქართულ ეკონომიკურ აზროვნებას და სავალალოა ის ფაქტი, რომ ეს მანკიერი პრაქტიკა დღემდე გრძელდება. თანაშედროვე პირობებში, როდესაც საზღვარგარეთის ეკონომიკური ლიტერატურის ჩვენთან შემოსვლის რუსეთის გზაც თითქმის გადაიკეტა, აუცილებელი ხდება საზღვარგარეთის სამეცნიერო-ეკონომიკური ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნა, ამისათვის კი საჭიროა შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადება.

ვითვალისწინებდით რა ზემოაღნიშნულ პრობლემების აქტუალობას, ხვალინდელ საქართველოსათვის, ჩვენ ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბრის თვეში ვთხოვეთ განათლების სამინისტროს, უფლება მოეცა 1993—94 სასწავლო წლიდან დაგვეწყო სტუდენტთა მომზადება ჟურნალისტიკის შემდეგ სპეციალობებზე:

1. ეკონომისტ-ჟურნალისტი;
2. საერთაშორისო ეკონომიკური მიმომხილველი;
3. დარგობრივი სამეცნიერო ეკონომიკური ლიტერატურის თარგმნა.

ჩვენს წამოწყებს ამ მიმართულებით მხარი დაუჭირა მუდმივ სასწავლო მეთოდური და სამეცნიერო დახმარების გაწევით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტმა თავისივე წამყვანი მეცნიერ-სპეციალისტებით, ფაკულტეტის დეკანის პროფესორ ნ. ტაბიძის ხელმძღვანელობით. ჩვენ ყველა პირობა გვაქვს ჩამოთვლილი სპეციალობების მიხედვით მაღალი კვალიფიკაციის კადრების მომზადებისათვის.

იმედს ვიტოვებთ სათანადო უწყებაც არ შეგვიშლის ხელს ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტაში.

ზაურ თეთრუაშვილი

— გორის ეკონომიკურ-ჰუმანიტარული უმაღლესი კოლეჯის (ინსტიტუტის) რექტორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

სოლომონ ხუციშვილი

— ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

დავით თევზაძე

— ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

შოთა გაგოშიძე

— ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

"გაღმა გასვლისა მსურველთა უკუღმა მიგვყავს ბორანი,
გაგვიბატონდა, მგოსანო, სირეგვნე შეუწონარი"
ვაჟა-ფშაველა

ფიქრები ცარიელ აუდიტორიაში

სერ იუნსტონ ჩერჩილს, პრემიერ-მინისტრად ... ყოფნისას მეგობარმა თხოვნით მიმართა ეშუამდგომლა ერთ-ერთი კოლეჯის პროფესორთან შვილის შესახებ, რომელიც თურმე ზედმეტად ემოციური ახალგაზრდა ყოფილა და ნერვიულობისაგან გამოცდაზე იბნეოდა. ჩერჩილმა ანგარიში გაუწია მეგობრის წუხილს და კოლეჯის პროფესორს სთხოვა გამოცდისას ამ ახალგაზრდისათვის შეექმნა მშვიდი ატმოსფერო — არც მეტი და არც ნაკლები. და აი, მოხდა ჩვენთვის დაუჯერებელი რამ: პროფესორმა თავი შეურაცხყოფილად ჩათვალა, რომ, ჭკუას არიგებდნენ თუ როგორ ჩაეტარებინა გამოცდა. ეს პროფესორის ეთიკის შეურაცხყოფად იქნა მიჩნეული და საქმე ალბათ სასამართლომდეც მივიდოდა ჩერჩილს რომ ბოდიში არ მოეხადა განაწყენებული პროფესორისათვის.

ეს ამბავი იმიტომ გამახსენდა, რომ დღეს, ჩვენდა სავალალოდ, დაირღვა ის ჯანსაღი ეთიკურ-მორალური ატმოსფერო, რითაც გარემოცული იყო ადრეულ წლებში პროფესორ-მასწავლებელი სტუდენტთა მხრიდან.

80-იანი წლების მიწურულს საქართველოში დაწყებულ ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობაში სტუდენტ ახალგაზრდობის დიდმა აქტივობამ, იმის თავდაჯერებამ, რომ თითქოს ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძების პროცესი ახალგაზრდობაში უფრო ადრე დაიწყო ვიდრე მის წინამორბედ თაობაში, წარმოშვა უფროსი თაობის მიმართ გარკვეული ნიჰილისტური დამოკიდებულება. აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის გაჩნდა გაუცხოების სინდრომი, რამაც საბოლოოდ წაშალა, ან უკეთეს შემთხვევაში დააკნინა მასწავლებლის, როგორც მოძღვარის ხატი ახალგაზრდობის თვალში.

უგულვებელყოფილია ის, რომ თუ არა წინა თაობების უდიდესი ძალისხმევა, უჩუმრად შეწირული მრავალი ნიჭიერი კაცის სიცოცხლე, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ასე სწრაფად ვერ მოიტანდა შედეგს.

ახალმა სოციალურ-ეკონომიკურმა ურთიერთობებმა საბაზრო ეკონომიკას რომ ახლავს თან, არ უნდა მოსპოს ის უკეთილშობილესი, წმინდათა-წმინდა გრძნობა, მრსწავლის მხრიდან მასწავლებლის პატივისცემაში რომ გამოიხატება და ადამიანის აღზრდის ქვაკუთხედს წარმოადგენს. მამათა და შვილთა შორის ტრადიციულად არსებული „ბრძოლა", რაც საზოგადოების პროგრესის აუცილებელ პირობას წარმოადგენს, ძველსა და ახალ შეხედულებებს შორის მტრულ დაპირისპირებას არ უნდა იწვევდეს, რასაც სულიერ თუ მატერიალურ ფასეულობათა გადაფასება და რღვევა მოჰყვება ხოლმე შედეგად.

რეალურად კი სულიერი რღვევის პროცესი მივიღეთ, რამაც, როგორც აღვნიშნეთ, მეტად დამამძიმებელ მდგომარეობამდის მიგვიყვანა: სტუდენტი გადაეჩვია თავის ძირითად მოვალეობას — ლექციის მოსმენას, სალექციო თუ სასემინარო მეცადინეობები თითქმის ცარიელ აუდიტორიაში მიმდინარეობს, მოიშალა ელემენტარული სასწავლო დისციპლინა, არავითარი გამამართლებელი მიზეზი აქ არ შეიძლება მოიძებნოს.

სემესტრის განმავლობაში აუდიტორიაში სტუდენტთა ხალვათობა ჩათვლებისა და გამოცდების პერიოდში ხალხმრავლობით იცვლება დერეფნებში. პროტექციონიზმის ძველი სენი დღეისთვის უფრო მეტადაა გაფურჩქნული.

რაშია საქმე? სად არის მიზეზი? ნუთუ ერთეულების პატიოსანი შრომა იხსნის ყოვლისმომცველ უვიცობას, ნუთუ კიდევ ვინმეში ეჭვს იწვევს ის ფაქტი, რომ საბაზრო ურთიერთობათა ხანაში ყალბი დიპლომი სოციალურ გარანტად არ გამოდგება საზოგადოებაში, სადაც ადამიანის საქმიანობა და მატერიალური უზრუნველყოფა მხოლოდ მისი უნარითა და ცოდნით განისაზღვრება?

ნუთუ კიდევ ვერ შევიგნეთ, რომ ნგრევის პერიოდი უკვე დამთავრდა და იწყება ახალი საზოგადოების შენების პერიოდი, ახალი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ურთიერთობებით, რომელთაც მხოლოდ უმაღლესი პროფესიონალიზმი უდევს საფუძვლად ყველგან და ყველაფერში?

რით მიიღწევა ეს პროფესიონალიზმი თუ არა ოფლის ღვრით და მუხლჩაუხრელი შრომით, აუდიტორიაში, დაფასთან, წიგნთან, სამკითხველო დარბაზებსა თუ ბიბლიოთეკებში მუშაობით.

უპირველესად განათლების ახალი მოდელის შესახებ, როშლის გარშემოც პრესაში უკვე გამოითქვა ვრცელი და საფუძვლიანი მოსაზრებები („განათლება" 12.02.1992). წარმოდგენილი უწყვეტი განათლების სისტემის ახალი მოდელი, დაფუძნებული ერთიან საგანმანათლებლო პოლიტიკაზე, გულისხმობს ახალ მიდგომას სკოლამდელი, ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულ-ტექნიკური და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების პროცესებისადმი შესაბამისი ახალი კონცეფციების შემუშავების გზით. ჩვენ არ შევჩერდებით სასკოლო განათლების კონცეფციებზე. ისე კი შევნიშნავთ, რომ სავსებით სწორია მოზარდის პროფესიული ორიენტაცია დაიწყოს ზოგადსაგანმანათლებლო კოლიდამთავრებისშემდეგ(ვთქვათდღევანდელ საშუალო სკოლის 10—11 კლასში) ე. წ. პროფილურ სკოლებში. აქ უნდა მოხდეს პროფესიულ-ტექნიკური განათლების შერწყმა პროფილურ სწავლებასთან, რაც, ერთის მხრივ, მეტად განუმტკიცებს ახალგაზრდას მისი არჩევანის სისწორეს, და მეორეს მხრივ, თეორიულ სწავლებასთან ერთად ის დაეუფლება შესაბამის კონკრეტულ პროფესიას. ეს მისი სოციალური დაცვის გარანტიაც იქნება საზოგადოებაში. ამით პროფტექნიკური განათლებაც მოექცევა უწყვეტ განათლების სისტემაში.

პროფილური სწავლების იდეა უნდა იქცეს უწყვეტი განათლების სისტემის საფეხურად, რაც უზრუნველყოფს უმაღლეს სასწავლებლებში პროფესიულად უკეთ ორიენტირებული ახალგაზრდის მოსვლას.

ახალ მოდელში უმაღლესი სასწავლებელში სწავლების პროცესი ორ საფეხურადაა წარმოდგენილი, რაც ერთ უწყვეტ სისტემადაა გააზრებული. სახელდობრ პროფილურ სკოლიდან წამოსულ ახალგაზრდამ ჯერ უნდა ისწავლოს არასრულ უმაღლეს სასწავლებელში (I საფეხური), რაც ამჟამად არსებულ საშუალო-სპეციალურ სასწავლებლებს უტოლდება და შემდეგ სწავლა გააგრძელოს სრულ უმაღლეს სასწავლებლებში, ე. ი. საშუალო სპეციალური განათლება შერწყმულია უმაღლეს განათლებასთან და წარმოადგენს მის პირველ საფეხურს, რაც ჩვენი აზრით, მიღებულია და აი რატომ: არასრული უმაღლეს სასწავლებელს გააჩნია თავისი დამოუკიდებელი ფუნქციები და მართებულად არის მინიშნებული, რომ მათი გადატანა რეგიონებში გარკვეულ დადებით მომენტს წარმოადგენს საშუალო ტექნიკური განათლების სპეციალისტების მომზადებაში რეგიონების საჭიროებისათვის, რეგიონის ინტელექტუალური ძალების გასაძლიერებლად. მაგრამ ამ საფეხურის აუცილებელი გავლა მაღალინჟენერიდა დიდი პერსპექტივების მქონე ახალგაზრდისათვის, ჩვენი აზრით, დამამუხრუჭებლად შეიძლება იმოქმედოს მისი ინტელექტის ჩამოყალიბებაზე და დაუკარგოს ის „კეთილშობილური მარცვალი" მეცნიერების ახალი მიჯნების დასაპყრობად რომ არის გამიზნული. მეორეს მხრივ, დღეს ცივილიზებულ ქვეყნებში შეინიშნება ვიწრო სპეციალიზირებული უმაღლესი სასწავლებლების დაახლოვება საუნივერსიტეტო განათლებასთან, სადაც წინა ეტაპზე ფუნდამენტური მეცნიერებების სწავლებაა წამოწეული. ის რასაც ბატონი კ. ქორიძე, გულისხმობს სრული უმაღლესი სასწავლებლის სახით (უმაღლესი სწავლების მეორე საფეხური), სადაც გათვალისწინებული იქნება სამეცნიერო და სასწავლო პროცესების ერთიანობას, უნდა განხორციელდეს სწორედ ორი საფეხურის სახით.

სრული უმაღლესი სასწავლებლის ორ საფეხურიანობა, ფართოდ რომ არის დანერგილი საზღვარგარეთის უმაღლესი განათლების სისტემაში შემდეგი მოსაზრებითაა განპირობებული. სრულ უმაღლეს სასწავლებელში მოსულ კარგად მომზადებულ და სათანადოდ პროფესიულად ორიენტირებულ ახალგაზრდას დაწყებით I და II კურსებზე (სწავლების პირველი საფეხური) უნდა წაეკითხოს ფუნდამენტალური დისციპლინები შერჩეული სპეციალობის მიხედვით, რაც მას მისცემს მყარ თეორიულ ბაზას, შეუმუშავებს ფართო ინტელექტუალური თვალთახედვის უნარს არჩეული სპეციალობის სხვადასხვა მიმართულებებში ორიენტირებისათვის. პირველ-მეორე კურსზე მიღწეული მაჩვენებლების მიხედვით (მას შეიძლება „სტუდენტური რეიტინგიც" ეწოდოს) უნდა მოხდეს სტუდენტთა კონტიგენტის შემდგომი დიფერენციაცია. მეორე საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად (2-3 წელი). ის ვინც I საფეხურზე გამოამჟღავნებს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისადმი გამოკვეთილ მიდრეკილებას აგრძელებს სწავლას იმ ჯგუფებში, სადაც სასწავლო პროცესი გაერთიანებული იქნება სამეცნიერო-კვლევით პროცესთან (სწავლების მეორე საფეხური), რომლის წარმართვისათვის მოწვეული იქნებიან სამეცნიერო ინსტიტუტები და მაღალი რანგის მკვლევარი სპეციალისტები ამ ინსტიტუტებში არსებული შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენებით. ამ ჯგუფებში საფუძველი უნდა ჩაეყაროს ერის მომავალი ინტელექტუალური კადრების აღზრდას მეცნიერების სხვადასხვა დარგებში.

უწყვეტ განათლების სისტემის ახალი მოდელის წარმატებითი ფუნქციონირებისათვის საჭიროა უმაღლესი სასწავლებლები თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვონ. ეს, ცხადია, დიდ კაპიტალდაბანდებებს მოითხოვს დარის განხორციელებისათვის, ჩვენი აზრით, საჭიროა მაღალპროფესიული კადრების მიღებით დაინტერესებული საწარმოების მონაწილეობა.

მაგრამ სად ვეძებოთ ასეთი სპეციალისტები, რომელთაც თანაბრად ხელეწიფებათ კარგი ქართულით ლექციის წარმართვა და ამასთანავე თავისი დარგის ფართოდ ერუდირებულ მკვლევარებს წარმოადგენენ? კი ბატონო, მადლობა უფალს გვყავს ასეთი კადრები, მაგრამ განა რამდენი უნდა მოიძებნონ ისინი რომ გასწვდნენ საქართველოში (და მის პერიფერიებში) აგრე რიგად მოზღვავებულ ფასიან უმაღლეს სასწავლებლებს?

მარეგულირებელი მექანიზმის არსებობა თავისთავად დახვეწს და შეამცირებს ფასიანი სწავლების უმაღლეს სასწავლებლის რაოდენობას. რომლებიც არ უნდა გადაიქცნენ, როგორც ითქვა, „უპერსპექტივო, დიპლომის მაძიებელ სტუდენტთა თავშესაფარად".

არც ერთი ზემოთ აღნიშნული ელემენტის სწავლების ახალი მოდელის წარმატებითი ფუნქციონირებისათვის არ იქნება თავის სიმაღლეზე, თუ ისევ და ისევ სტუდენტმა არ შეიგნო, რომ „ადამიანის ბედნიერების განმსაზღვრელი მოვალეობის შესრულების შედეგად მიღებული სულის მშვიდობაა" (ფიხტე). სწორედ მოვალეობის შეცნობის უნარის დაკარგვამ ახალგაზრდობის გარკვეულ ნაწილში მიგვიყვანა ამ ზნეობრივ გაუკუღმართებამდის, რამაც უწინარესად, თავი იჩინა ცოდნის შეძენისადმი სურვილის დაკარგვაში. არის თუ არა რაიმე ძალა ამ სულიერი ვაკუუმიდან ჩვენი დახსნისა? ხომ არ დაიკარგა ჭეშმარიტების ტაძრისაკენ მიმავალი ის გზა დიდი სულიერი განახლებისა და აღორძინებისაკენ რომ მიჰყავს ერი?

დიდი ოპტიმისტი თავისი ერის ბედნიერ მომავალში ღრმად დარწმუნებული სულმნათი ილია გვეუბნება რომ ჯანსაღ ერში ყოველთვის არის „ის ძალა, ის იდუმალი ხმა, რომელიც ყოველთვის ეძახის ადამიანს: წინ წადეგ! წინ წადეგ!.. ნეტავი იმ ხალხს რომელსაც არ დაუკარგავს ეგ იმედი განახლებისა და არ გაჭრობია უკეთესობის ნდობა!..

რა აახლებს, რა სცვლის და — თუ ცხოვრება ჯანმრთელია — რას მიჰყავს წინ? ცოდნასა, მეცნიერებასა, რომელნიც თვითონვე ცხოვრების ნაყოფნი არიან.

თუ ცხოვრება ჯანმრთელია, თუ მასში არის უკეთესობის ნდობა და განახლების ცხოველი იმედი, ეგ თვით დავრდომილის აღმადგინებელი იმედი — მისნი ძალანი, მისნი ძარღვნი მარად დაუძინარნი არიან".

თამაზ ბოხუა

ტექნიკურ მეცნიერებათა
დოქტორი,
პროფესორი

 თეიმურაზ ჯანგულაშვილი

სიმღერა კუპონზე

არც ცეკა და სტალინი,
არც სია და ტალონი —
ქუჩას ასდევნებია
ჯიხურების ტალანი

არც ბუნაგი ტყიური,
არცა მყუდრო დარანი —
მხოლოდ კომერციული
ჯიხურების ტალანი;

არც მანანა ციური,
და არც შიოს მარანი —
მხოლოდ იმპორტიული
ნექტრის მიმოტანანი.

შენს სულს
რაც სურს,
ინებე —
არ დაგრჩეს დასანანი —

ევროპა თუ აზია,
სნიკერსი თუ ბანანი.
მე კი მკერდში ჩამიკრავს
ჩვენი ხმელი ტარანი.

(ამ განძს შემომნატრებენ
ბევრი ჩემისთანანი).
გვერდზე არც ვიყურები
(გულზე გასკდეს ტალანი!),

მივდივარ და მომდევენ
ძაღლნი მატანტალანი.
ფერადი ჯიხურები,
თუნაწვირის გუბენი,

ერთურთს მისტყუპებიან,
ვით ვაგონის კუპენი.
მეწვის თვალთა უბენი,
ჯიბეს მიხევს კუპონი,

შორს დამრჩა უკუპონო
დღენი უპირქუბონი.
ზიმზიმებს და თიმთიმებს
ჯიხურების უბანი,

მანეთების ნიავზე
გავიღეღე უბენი.
მივალ წელგამართული,
როგორც ძველი. თუბალი...

ტარანს რა დავაყოლო? —
ალუბალი თუ ბალი...
და მე უცებ დავმძიმდი,
ვით სასეტყვე ღრუბელი

და სხვებსაც დავუბარე
ჩემს გულთან ნაუბარი:
— ვეღარც კარგი გიშველის,
ვეღარც მამაუფალი,

მანეთი თუ არა გაქვს
და გაქვს მხოლოდ კუპონი.
არცა ბალს მოგყიდიან,
არც ქინძსა და ცერეცოს,

თქვენი კანონ-წესები
გინდაც ტუშით სწეროთო.
თუ გაქვს მხოლოდ კუპონი,
ვაჭარს გულს ვერ უპოვნი,

გამკითხველი ვინ არის
უქონლის და უპოვრის...
კაცს რომ დაგინახავენ
ამ ქაღალდით თუ ბონით,

ასანთსაც არ მოგცემენ
მკაცრნი, უპირქუბონი.
კაცს რომ დაგინახავენ
ხელში ქართულ კუპონით,

ხითხითებენ მანეთზე
გასასყიდი კუპონი.
მტრის წყევლა თუ ამიხდა —
ბედი განზე გამიხტა,

ვაჰმე, ის ხის მანეთიც
სანატრელი გამიხდა.
... ყელში ხელწაჭერილო
ძლივს მფეთქავო კუპონო,

მითხარ როგორ გავტოპო
ეს მდინარე უფონო...
ჩემი დამაქცევარო,
საცოდავო კუპონო,

მშიერ ძმას და მეზობელს
გული ვით მივუფონო...
ჯამაგირში მანეთად
აღებულო კუპონო,

ბაზარზე ორ შაურად
გაგებულო კუპონო,
ღირსეულთა სუფრასთან
როსღა დაგასკუპონო...

ნაკუპონარ ჯიბეში
როგორ ჩავიდო ლარი...
დღეს მზის სხივად ზიმზიმებს
გუშინ შავი დოლარი.

ჰოდა, უცებ შეხტება
მკერდში გული მთრთოლარი
და ოცნებას ვეძლევი
მხარ-თეძოზე მწოლარი:

მწვერვალს წავეტანები
მუშაითის ბაგირით —
კუპონებად აღებულ
მთელი თვის ჯამაგირით

შევისყიდი ნახევარ
დოლარს შავ-თეთრ ბაზარზე,
იმედის თოკს დავკიდებ
ხვალის ვეება ზარზე.

ჯიბეს აღარ დავიღლი
კუპონების ტარებით,
დავაგროვებ დოლარებს
და მე იმ დოლარებით

ავდგები და შევიძენ
საქონელსაც, ჯიხურსაც,
წინ ვერავინ აღუდგეს
ჩემს წინსწრაფვას ჯიქურსა —

ნარჩევ-ნარჩევ საქონლით
სულ კუპონზე ვივაჭრებ —
ღვინოს შერჩეს ღვინობა,
მაჭარს — შუმი სიმაჭრე!

ბურჯად ამოვუდგები
თეთრი ''ბაზრის'' მძლავრობას
და, როგორც დაადგინა
რესპუბლიკის მთავრობამ,

მანეთის და კუპონის
ძალას გავათანაბრებ,
მათ სიმძლავრეს დავიცავ,
ვით შემბანკის ანაბრებს.

მაგრამ... რა მეღიმება,
რას მივედ-მოვედები —
როგორ გავვლო ციცაბო
ხრამები და ქედები...

ვიცი, უნდა შემოვკრა
ზარი, მაგრამ რა ზარი?
ჯიუტად დირიჟორობს
ჩვენს ბედს შავი ბაზარი.

როგორ უნდა გავტოპო
ეს დინარე უფონოდ
ახ, კუპონო, კუპონო,
ეხ, კუპონო, კუპონო...

შორ გზას როგორ დავადგე
უეტლოდ და უპონოდ?
ეხ, კუპონო, კუპონო,
ახ, კუპონო, კუპონო...

... და მე მრჩება ეს ლექსი
ვით სურათი უფონო.

იყიდება საქართველო

(ინფორმაცია ეკონომიკური რეფორმების შტაბის სხდომიდან)

10 სექტემბერს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილის ბატონ რომან გოცირიძეს ხელმძღვანელობით გაიმართა ეკონომიკური რეფორმის შტაბის საგანგებო სხდომა, რომელიც მიეძღვნა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეფინანსირებით ბოლო ერთი თვის განმავლობაში გაცემული საკრედიტო ექსპანსიის შედეგად კუპონის კურსის კატასტროფულად გაუფასურებისა და ამის საფუძველზე ფასების უკონტროლო ზრდის პრობლემებს, რომელმაც საგანგაშო მდგომარეობა შექმნა სამომხმარებლო ბაზარზე და გამოიწვია მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის შემოსავლების, მათ შორის ჯერ კიდევ მიუღებელი ხელფასების გაუფასურება.

შტაბზე აღინიშნა, რომ არასწორია ფართოდ გავრცელებული აზრი იმის შესახებ, თითქოს კუპონების დევალვაცია გამოწვეული იყოს ხელფასების გაორმაგებით, ვინაიდან გაორმაგებული ხელფასები ჯერ არ დარიგებულა. ბუნებრივია იგი შეიძლება იყოს მომავალში ინფლაციის ზრდის ერთ-ერთი მიზეზი. ამჟამად კი შექმნილი კატასტროფული მდგომარეობის ძირითადი ფაქტორია ბოლო ერთი თვის განმავლობაში უპირატესად კომერციულ ფირმებზე გაცემული უზარმაზარი კრედიტები, რამაც ჭამოიწვია მიმოქცევის სფეროში ნაღდი ფულადი ნიშნების ფართომასშტაბიანი ექსპანსია და სავალუტო სპეკულაციის არნახული სტიმულირება.

შტაბის სხდომაზე მოტანილი იქნა მონაცემები მხოლოდ ეროვნული ბანკის მიერ უკანასკნელ თვეებში გაცემული კრედიტების შესახებ, რომელმაც 180 მილიარ კუპონს გადააჭარბა. დასახელებული იქნა ისეთი კერძო ფირმები და ორგანიზაციები, რომლებსაც გატანილი აქვთ შეღავათიანი უაღრესად დაბალპროცენტიანი, მილიარდიანი სესხები: ფირმა „კაქტუსზე" გაიცა 15 მილიარდი კუპონი, ასოციაცია „იბერზე" — 20 მილიარდი კუპონი, ფირმა „ოლბზე" — 10 მილიარდი კუპონი, ფირმა „ბანი და კომპანიაზე" — 10 მილიარდი კუპონი, დიზაინერთა ფონდზე — 15 მილიარდი კუპონი, კონცერნ „საქნავთობპროდუქტზე" — 10 მილიარდი კუპონი, „არაგვი კორპორეიშენზე" 21 მილიარდი კუპონი, კომპანია „ოქროს არწივზე" — 4 მილიარდი კუპონი, პურ-პროდუქტების სახელმწიფო კორპორაციაზე — 15 მილიარდი კუპონი. სულ ჩამოთვლილი იყო 43 ფირმა, რომელმაც ბოლო პერიოდში ეროვნული ბანკიდან სესხის სახით აიღო ერთ მილიარდ კუპონზე მეტი ოდენობით თანხა, ხოლო ზოგიერთმა მათგანმა ეს თანხები ნაღდ ფულადი ნიშნების სახით გამოიტანა. ძირითადად სესხების გაცემა მოხდა და ხდება „რჩეული" ბანკების მიერ.

შტაბზე აღინიშნა, რომ რა მიზანიც არ უნდა ყოფილიყო ჩადებული ამ სესხების გამოყენებაში, მისი გაცემის და ათვისების მექანიზმი ეწინააღმდეგება ეკონომიკის ელემენტარულ, გონივრულ მოთხოვნებს, იწვევს ეროვნული ეკონომიკის ნგრევასა და მოსახლეობის გაღატაკებას, ცალკეული პრივილეგირებული პირების გამდიდრებას და საბოლოო ჯამში ქვეყნის თავდაცვისა და სიცოცხლისუნარიანობის გამოფიტვას.

შტაბმა მოუწოდა საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტს მიიღოს სასწრაფო ზომები ეროვნული კატასტროფის თავიდან ასაცილებლად.

ეკონომიკური რეფორმის შტაბის პრესსამსახური

* * *

რედაქციისაგან: როგორც სოციეკონომინფორმის კომიტეტის ინფორმაცია გვაუწყებს 1993 წლის 6 სექტემბრიდან საქართველოს ტერიტორიაზე მიმოქცევაში ახალი ნიმუშისა და ნომინალის კუპონების გაშვების შემდეგ ადგილი აქვს მათი სხვა ქვეყნების ვალუტებთან მიმართებაში სწრაფ გაუფასურებას. თუმცა ამის შემჩნევას სოციეკონომინფორმის უწყება არ სჭირდება, ჩვენი მოქალაქენი საკუთარ ტყავზე ცდიან ცალკეული „დიდი" ეკონომისტების „გენიალურ" გადაწყვეტილებათა დამთრგუნველ შედეგებს.

ასე მაგალითად, 3 სექტემბერს ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე დაფიქსირებული კურსი შეადგენდა 1 რუსული მანეთი = 7,5 კუპონს.

ორშაბათს ფაქტიურმა კურსმა არაორგანიზებულ სავალუტო ბაზარზე მიაღწია 8,4 კუპონს.

სამშაბათს — 9,5 კუპონს.

ოთხშაბათს კი კუპონის კურსი ყოველ საათს ეცვლოდა.

დილის 10 სთ-ზე 100 რუსული მანეთი იყიდებოდა 1000 კუპონად.

12 სთ-ზე 1020 კუპონად

14 სთ-30 წუთზე 1052 კუპონად

17 სთ-ზე 1250 კუპონად

ასეთივე ტენდენციაა დღესაც. როგორც ჩანს ეს თანაფარდობის ზღვარი არ არის. ბუნებრივად ეცემა კუპონის კურსი დოლართან და სხვა ვალუტებთან მიმართებაში.

დამაფიქრებელია ვალუტის უმრავლეს გადამცვლელ პუნქტებში და „კავკასიის ბირჟის" მიმდებარე ტერიტორიაზე საბანკო შეფუთვის მქონე მაღალი ნომინალის ახალი ნიმუშის კუპონების მასიური გამოჩენა... ყოველივე ამან ელვისებური ზეგავლენა მოახდინა სამომხმარებლო ბაზრის ფასების ზრდაზე და გამოიწვია ჯერ კიდევ მიუღებელი ხელფასების სრული გაუფასურება.

მიმოქცევის სფეროში ნაღდი ფულადი ნიშნების ფართომასშტაბიანი ექსპანსია. რაც განხორციელდა გაორმაგებული ხელფასების გაცემის დაწყებამდე, ქვეყნის ეკონომიკის და მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართულ დივერსიად შეიძლება ჩაითვალოს.

სულ ცოტა ხნის წინათ ბატონმა რომან გოცირიძემ გააფრთხილა ყველა მოსალოდნელი შედეგების შესახებ.

ძალზე გაძნელდა იმის შეგნება მავანთათვის, რომ ეკონომიკურ კანონებთან თამაში სიკეთეს არ მოიტანს.

ალბათ, ფიგურალურად თუ ვიტყვით, კუდის რიკამდე უნდა გასძვრეს ხალხს ტყავი. ყურიდან ბამბა რომ გამოიღონ...

კი ბატონო, ნუ დაუჯერებთ გოცირიძეებს, მაგრამ რაიმე რომ დაიჯეროს ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობამ, ამისათვის აუცილებელია რომ გაწამებულმა ხალხმა ფიწლები აიღოს ხელში?

ნუ დავაყენებთ ისედაც სვეგამწარებულ საქართველოს სოციალური აჯანყების წინაშე.

მოუარეთ საქართველოს!

რა ქნას გასაცოდავებულმა ინტელიგენტმა? ანუ ტვინების გადინების" პრობლემა საქართველოში

დასასრული

ბათ, ცნობილი ჟურნალისტია და წლების განმავლობაში საზღვარგარეთ, უფრო ხშირად, ამერიკის შეერთებულ შტატებში იყო აკრედიტებული. ერთხელ, თბილისში ჩამოსულს, ჟურნალისტებთან შეხვედრისას ერთ-ერთი კოლეგის კითხვაზე, ყველაზე მეტად თქვენი როშელი პუბლიკაცია დაგამახსოვრდათო, მას ნახევრად ხუმრობით უპასუხნია, ყველაზე მეტად ის პატარა წერილი დამამახსოვრდაო „ნიუ-იორკ ტაიმსში", რომლის პონორარითაც ერთი რიგიანი უცხოური მანქანა ვიყიდეო.

მანქანას ვინ ჩივის, თვიდან თვემდე საჭმლის ფულადაც რომ არ გვყოფნის ჩვენი გასამრჯელო და ბევრ ჟურნალისტს, ინჟინერსა თუ იურისტს ხშირად განზე გაგვირბის თვალი, ეგებ ისეთ საქმეს მოვეკიდო, ოჯახიც ვარჩინო და თავიც ვირჩინოო.

ასეთ გასაცოდავებულ დღეშია თითქმის ყველა ინტელიგენტი და ჩვენში მიმდინარე პოლიტიკური ბატალიებისა და „ცხელი თავების" შემხედვარე არცთუ იშვიათად უყურებს ახლო მომავალს. ხოლო იქით, შორეულ მომავალში, რა იქნება, ერთმა ღმერთმა უწყის.

სერგო ჯანაშია

იყიდება ფირმა „ქენონ"-ის უახლესი მოდელის პროფესიონალური ფოტოკამერა. დარეკეთ: 93—18—41

საქართველოს სახალხო ფრონტი, გაზეთ „საქართველოს" რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს სახალხო ფრონტის სარეკვიზიო კომისიის წევრს ბახვა ჯაყელს ძმის

ლევან ჯაყელის

გარდაცვალების გამო.

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

სარედაქციო საბჭო
თენგიზ გოგოტიშვილი
ვახტანგ კომახიძე
ჯემალ კასრაძე
მერაბ მაისურაძე
სერგო ჯანაშია

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, კუშკინის ქ. 5

ტელ:
რედაქტორი: 93-20-36,
მოადგილე: 93-18-41.
პასუხისმგებელი მდივანი: 93-19-99

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ხელნაწერ მასალებს ნუ შემოგვთავაზებთ.

გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 120 კუპონი

გაზეთი დაკაბადონდა კომპიუტერული წესით ფირმა „აგა"-ში
ტელ: 93—83—07, 29—49—60